

განსაჯობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2017, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2017, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2017, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2017, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. აღმინისტრაციული განსჯადობა

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავის განსჯადობა

განხილვა

№ბს-5-5 (გ-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
ბირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე გა-
ნიხილა სიი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარ-
ჩელთან დაკავშირებით წარმომობილი დავა განსჯადობის თა-
ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღნერილობითი ნაწილი:

სიი სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიის მოპასუხე ი.მ. მ. ც-ის მიმართ, სახელ-
მწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამენარმეო
საქმიანობისათვის არამართლზომიერი სარგებლობისათვის
6282.5 ლარის ოდენობით დარიცხული დავალიანების დაკისრე-
ბის მოთხოვნით. მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად უთითებს
„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36.1 და
49-ე მუხლების დანაწესებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 23.12.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობით
გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ სასკ-ის 1.2, 26.1 მუხლებზე
მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარე-
ობს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, სადაც ურ-
თიერთობა არის კერძოსამართლებრივი ხასიათის, რის გამოც

დავა უნდა იქნეს განხილული სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 29.12.2015ნ. განჩინებით არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეცა საკასაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 3.2 მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 11-ე მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 36.1 მუხლის დანაწესებზე და აღნიშნა, რომ მოთხოვნას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით. ამასთანავე, მხარეთა შორის არ არის დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობა, მოპასუხის მიერ სახელმწიფოს ქონებით სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სარგებლობა ქმნის სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, რაც გათვალისწინებულია სასკ-ის მე-2 მუხლით. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს არა კერძოსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული, საჯარო კანონმდებლობიდან და მისი განხილუა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცინო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადავო სამართალურთიერთობის ერთერთ მხარედ გამოდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხლის თანახმად, სა

ხელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესუბილიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცო სამართალურო ერთობის სუბიექტური შემადგენლობა, სადაცო სამართალურო ერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადაცო სამართალურო ერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადაცო სამართალურო ერთობის ბუნება. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადაცო სამართალურო ერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაშიც.

სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურო ერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ სა-

ერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგანი ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დავა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოთხოვნას ამყარებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 36-ე მუხლის 1³ პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარევო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, გაღდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საპაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიუკუთვნების ყველა წინაპირობა, ეკრძოდ, მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი ეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებას, დარიცხვა ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამდენად, სადაც სამართალურთიერთობის ხასიათი და მისი სუბიექტური შემადგენლობა ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაზილის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სასამართლონარმობების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი.მ. მ. ც-ის მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

„საქართველო ქონების შესახებ“ კანონიდან გამოყენებისას განსჯადობა

განჩინება

№პს-180-179 (გ-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაბე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე გა-
ნიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარ-
ჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის თა-
ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიუმს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი.მ ვ. დ-ის მიმართ, სახელ-
მწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამეწარმეო
საქმიანობისათვის არამართლზომიერი სარგებლობისათვის
8235 ლარის ოდენობით დარიცხული დავალიანების დაკისრე-
ბის მოთხოვნით. მოსარჩევე მოთხოვნის საფუძვლად უთითებს
„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36.1 და
49-ე მუხლების დანაწესებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 11.02.2016 განჩინებით საქმე განსჯადობით
გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა გამომდი-
ნარებს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, სასარ-
ჩელო მოთხოვნის საფუძველს შეადგენს სამოქალაქო კანონ-
მდებლობა, დავა დავალიანების დაკისრებას ეხება.

სასამართლომ სასკ-ის 1.2, 26.1 მუხლზე მითითებით აღნიშ-
ნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სა-

მართლის კანონმდებლობიდან და მოცუმული ურთიერთობა არის კერძოსამართლებრივი ხასიათის, რის გამოც დავა განხილული უნდა იქნას სამოქალაქო სამართლწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 25.02.2016წ. განჩინებით არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განსჯადობის თაობაზე დაფის გადასაწყვეტად საქმე გადაეცა საკასაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 3.2 და სსკ-ის 11.1 მუხლების დანაწესზე, ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.6 მუხლზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლზე, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 2.1 მუხლზე და აღნიშნა, რომ სამართალუბიექტურობის მიხედვით სადაცვო სამართლურთიერთობის მონაწილე სუბიექტი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და ახორციელებს საჯარო საქმიანობას, დავის საგანია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის 8235 ლარის ოდენობით დარიცხული დავალიანების დაკისრება. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ვინაიდან მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის 36-ე მუხლის 1³ პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავში მონაწილე ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო. სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე მხარეებს შორის არ იყო დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობა, ანუ სა-

ხელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთით მოპასუხე სარგებლობდა სამართლებრივი საფუძველის არსებობის გარეშე. აღნიშნულით სახელმწიფოს მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. შესაბამისად დავის საგანია ზიანის ანაზღაურება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით დავის განხილვის საფუძველია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განხილვა შეუძლებელია, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების ფარგლებში, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობა. აღნიშნულის გამო საქმე გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავალიო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადავო სამართალურთიერთობის ერთერთ მხარედ გამოდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც

სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, სადაც სამართალურთიერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადაც სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადაც სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადაც სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაშიც.

სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დაგა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დაგა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობების ცალკე კანონით გათვალისწინება თავისთავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სკ-ის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის,

სხვა ნორმებთან ერთად, სკ-ის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადაც სამართალურთიერთობის სამოქალაქოსა-მართლებრივ ხასიათს. ასე მაგ., საგადასახადო სამართალურ-თიერთობები ფორმალურად ვალდებულებითი ურთიერთობე-ბია, რაც არ ადასტურებს ამ დავების სამოქალაქოსამართლებ-რივი კატეგორიისადმი კუთვნილებას. საკასაციო პალატა ყუ-რადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემ-თხევაში ვალდებულება წარმოიშობა არა სახელშეკრულებო ან კერძოსამართლებრივი კანონის, არამედ სპეციალური კანონის – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე, რო-მელიც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას განეკუთვნება და ანესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს (1-ლი მუხ.). სახელმწიფო ქონების მართვას-თან დაკავშირებულ საკითხებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს, ხო-ლო ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი საქმიანო-ბის კანონიერების კონტროლი ადმინისტრაციული მართლმსა-ჯულების იურისდიქციის სფეროს განეკუთვნება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევე – სსიპ სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტო მოთხოვნას ამყარებს „სახელმწი-ფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 36-ე მუხლის 1³ პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ქონებით მოსარ-გებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარ-გებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რო-მელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერი-ლობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბი-უჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, სა-ბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორუ-ლი დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლო-ბის მთელი პერიოდისათვის. აღნიშნული ნორმა ადმინისტრა-ციული კანონმდებლობის სფეროშია მოქცეული, შესაბამისად მისგან წარმოშობილი სადაც ურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და ადმინისტრაციული სასამართლონარმოე-ბის წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა დავის ადმინისტრა-ციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ყველა წინაპირობა, ერ-ძოდ, მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწი-ფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი ეხება –

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არა-მართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებას, დარიცხვა ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამდენად, სადაცო სამართალურთიერთობის ხასიათი და მისი სუბიექტური შემადგენლობა ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას. საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა ადგენს, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სასამართლონარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი.მ. ვ. დ-ის მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

„სახელმიწოდებულის შესახებ“ კანონიდან გამოყენებისას განსჯადობა

განხილვა

№პს-299-297 (გ-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. სხირტლაბე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე გა-
ნიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარ-
ჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის თა-
ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიუმს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სარჩე-
ლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ი.მ. შ. ი-ის მიმართ, სახელ-
მწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამენარმეო
საქმიანობის არამართლზომიერი სარგებლობისათვის 7821.50
ლარის ოდენობით დარიცხული დავალიანების დაკისრების მოთ-
ხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, დაბა წყნეთ-
ში (ზონა „...“) მდებარე შენობა $\frac{1}{2}$ (ს/კ ...) წარმოადგენს სახელ-
მწიფო საკუთრებას. აღნიშნული უძრავი ქონების ნაწილით არა-
მართლზომიერად სარგებლობს და სამენარმეო საქმიანობის-
თვის იყენებს ი/მ შ. ი-ე. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანო-
ნის 36.1³ მუხლის თანახმად, ქონების მმართველის წერილობი-
თი მოთხოვნის თანახმად მოპასუხე ვალდებულია სახელმწიფო
ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობის საფასური, საბაზრო ღი-
რებულების შესაბამისად (საექსპერტო აუდიტორული დასკვნის
საფუძველზე). სააგენტოს არაერთი წერილობითი მოთხოვნის
მიუხედავად მოპასუხე თანხა არ გადაიხადა. სკ-ის 316-ე, 317.1
მუხლების მითითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანო-

ნის 36.1³ საფუძველზე მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას, მოპასუხისათვის გადასახდელი თანხის დაკისრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.03.2016წ. განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეზარდნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ სასკ-ის 2.1, აგრეთვე 26.1 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, მოცემული ურთიერთობა არის კერძოსამართლებრივი ხასიათის, რის გამოც დავა განხილული უნდა იქნას სამოქალაქო სამართლამობის წესით. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად უთითებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 36.1³ მუხლზე, ეს გარემოება დავას არ აქცევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი ითვალისწინებს კანონის საფუძველზე ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 04.04.2016წ. განჩინებით არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადასცა საკასაციო სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ ვალდებულებითი ურთიერთობის ცალკე კანონით გათვალისწინება თავისითავად სადავო ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ან სამოქალაქოსამართლებრივ შინაარსზე არ მეტყველებს და მათი კვალიფიკაციისთვის საკმარის ფაქტორს არ წარმოადგენს. დაუმჯებელია ანალოგიური ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობის სამოქალაქოსამართლებრივ ხასიათზე მსჯელობა მხოლოდ იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით ვალდებულების წარმოშობის ერთ ერთ საფუძვლად კანონით გათვალისწინებული შემთხვევაა დასახელებული. კონკრეტული სამართალურთიერთობა კანონმდებლის მიერ მოწესრიგებულია არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, არამედ სპეციალური კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ“. სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს კანონი – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ ერთმნიშვნელოვნად მიეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შინაარსისაა. გან-

სახილველი სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს არა კერძოსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული, საჯარო კანონმდებლობიდან და მისი განხილვა უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნული დასაბუთებით, განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენის მიზნით, საქმე გადმოეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადაცო სამართლურთიერთობის ერთეული მხარედ გამოდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, სადაცო სამართალურთიერთობაში მხარედ ადმინისტრა-

ციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადაც სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადაც სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადაც სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაშიც.

სზაჟ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დავა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლოს განჩინებებში მოყვანილ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვალდებულებით ურთიერთობების ცალკე კანონით გათვალისწინება თავისითავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სკ-ის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის, სხვა ნორმებთან ერთად, სკ-ის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადაც სამართალურთიერთობის სამოქალაქოსამართლებრივ ხასიათს, ასე მაგ., საგადასახადო სამართალურთიერთობები ფორმალურად ვალდებულებითი ურთიერთობებია, რაც არ ადასტურებს ამ დავების სამოქალაქოსამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილებას. საკასაციო პალატა ყურადღებას

ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშობა არა სახელშეკრულებო ან კერძო-სამართლებრივი კანონის, არამედ სპეციალური კანონის – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომელიც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას განეკუთვნება და აწეს-რიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, გან-კარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურ-თიერთობებს (1-ლი მუხ.). სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს, ხოლო ად-მინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების კონტრო-ლი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციის სფე-როს განეკუთვნება. ამდენად, აღნიშნულ საკითხებზე და მათ-გან გამომდინარე ურთიერთობები ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივია და შესაბამისი სასამართლო წარმოების წესით უნ-და იქნეს გახსილული.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევე – სსიპ სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტო მოთხოვნას ამყარებს „სახელმწი-ფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის 36-ე მუხ-ლის 1³ პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ქონებით მოსარგებ-ლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებ-ლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საპაზრო ლი-რებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დას-კვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთ-რების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა დავის ადმინისტრა-ციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ყველა წინაპირობა, კერ-ძოდ, მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწი-ფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი ეხება – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არა-მართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანე-ბის ანაზღაურებას, დარიცხვა ეფუძნება ადმინისტრაციულ კა-ნონმდებლობას. ამდენად, სადაცო სამართალურთიერთობის ხა-სიათი და მისი სუბიექტური შემადგენლობა ადასტურებს და-ვის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილე-ბას.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმობის წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ადგინდეთ:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი ი.მ. შ. ი-ის მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისპრიმინაციის ფაქტის დაღგენის, ზიანის
ანაზღაურების და სამსახურიდან გათავისუფლების
შესახებ პრაცეპის გათილად ცონგის თაობაზე
დავის განსჯადობა**

განცილება

№ბს-349-345 (გ-16)

15 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე
მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარე-
შე, განიხილა პ. დ-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის
თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შო-
რის წარმოშობილი დავა.

აღნერილობითი ნაწილი:

პ. დ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ.თბი-
ლისის ისნის რაიონის გამგების და მესამე პირის თ. ჩ-ას მი-
მართ პ.დ-ისათვის გაფრთხილების გამოცხადების შესახებ ქ.
თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 06.10.2014წ. №14 ბრძანე-
ბის, პ.დ-ის გათავისუფლების შესახებ მოპასუხის 17.10.2014წ.
№40 ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის, იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურების და გადაწყვეტილების და-
უყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სზაკ-ის 60'-ე მუხლის მიხედვით
სადავო აქტები მართლსაწინააღმდეგოა, დარღვეულია მათი
მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთ-
ხოვნები. უტყუარად არ დასტურდება მოსარჩელის მიერ ნების
გამოხატვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, რაც ეჭ-
ვევეშ აყენებს მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას
დასაქმებულის ინიციატვით. ასკ-ის 17.2 მუხლის თანამად, ად-
მინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარმოადგინოს სადავო აქტის
კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოპასუ-

ხეს, ზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლების შესაბამისად, სრულად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, არ გაუთვალისწინებია ბ. დან მიერ ორგანოსათვის განთავისუფლებამდე წარდგენილი განცხადება, სათანადოდ არ დაუსაბუთებია გასაჩივრებული აქტები, საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის შემთხვევაში მოპასუხის მიერ მიღებული იქნებოდა განსხვავებული გადადაწყვეტილება. სასამართლომ სადაცო აქტების კანონიერებაზე მსჯელობისას უნდა შეამოწმოს დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები, თანასწორობის პრინციპი, ადგილი ხომ არ აქვს დისკრიმინაციის ფაქტს. ამასთანავე, სადაცო აქტების გამომცემ პირთა ქმედებებში შესაძლოა იკვეთებოდეს სამოხელეო დანაშაულის ნიშნები, რადგან მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის შედეგად. ბ.დემ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე, ზაკ-ის 208-ე, სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე უნდა აღდგეს ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგებლის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან სრული ოდენობით.

01.12.2014წ. საქალაქო სასამართლოში წარდგენილი განცხადებით ბ.დ-ებ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და დამატებით მოითხვა ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლისათვის ბ. დან სასარგებლოდ 2013 და 2014 წლებში მოსარჩელის მიერ გამოყენებელი შვებულების სრული ანაზღაურების დაკისრება, ადგომკატის მომსახურების ხარჯის – 01 თეთრის და პროცესის ხარჯის, სანოტარო აქტის შედგენის საფასურის – 12 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.01.2015წ. განჩინებით, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში, მესამე პირად ჩაერთო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური.

06.04.2016წ. მოსამზადებელ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ მოითხოვა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის 06.10.2014წ. №14 და 17.10.2014წ. №40 ბრძანებების ბათილად ცნობა ძალაში შესვლის დღიდან; გამგებლის ... თანამდებობაზე აღდგენა და ამ ნაწილში მისაღები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება; გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის განაცდურის სახით ყოველთვი-

ურად 1 800 ლარის ოდენობით და თანამდებობრივ სარგოზე ნინასწარ გათვალისწინებული დანამატის თითოეული თვისათვის 1 800 ლარის ოდენობით გამგეობისათვის დაკისრება; მოსარჩეულის სასარგებლოდ გამგეობისათვის 2013, 2014, 2015 და 2016 წლებში ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი გამოუყენებული შეგებულების ნატურით ანაზღაურება; მოსარჩეულის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 1 ლარის ოდენობით არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება, სამსახურში პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის; მოსარჩეულის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 1 ლარის ოდენობით მატერიალური (ქონებრივი) ზიანის ანაზღაურება სამსახურში პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის იმ მიუღებელი შემოსავლის ზიანისათვის, რომელიც გამოწვეული იქნა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო, მიუღებელი ხელფასის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შეუძლებლობისა და ასეთი ბრუნვიდან მისაღები სარგებლის დაკარგვის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.04.2016წ. განჩინებით ბ.დ-ის სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოეყო მოთხოვნა დისკრიმინაციული მოპყრობის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ და აღნიშვულ ნაწილში საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ მე-7³ კარით, რომელიც ამ საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. ამდენად, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრის და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში განსაზღვრულია კონკრეტული ნორმები, რაც გამორიცხავს ამ კატეგორიის დავების ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საკითხების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დად-

გენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლებზე იმსჯელოს, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა კი საამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოცემული აქტის ხასიათისა და სხვა გარემოებების ერთობლივი შეფასებით უნდა განხორციელდეს.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 26-ე, სსკ-ის 182-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა გამოიყოს ცალეკ წარმოებად და გადაეცეს განსჯად – სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.04.2016ნ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-11, ასკ-ის მე-2, ზაკ-ის მე-5, მე-60¹ მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას განმსაზღვრელია დავის საგანი, ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავები, რომლებიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კახონმდებლობიდან არის წარმოშობილი, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა, რადგან დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების დადგენა. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასება ვერ მოხდება გათავისუფლების საფუძვლების შეფასების გარეშე, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი განთავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული საფუძვლით, ამდენად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკითხი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევებულად განხილვა შეუძლებელია. სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნათა დამოუკიდებლად განხილვისას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოუწევს სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზეც მსჯელობა, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სასამართლომ ორგანოს უნდა დაავალოს მისი აღმოფხვრა, – ფაქტობრივად პირის სამსახურში აღდგენა, რაც სცილდება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კომპეტენციის ფარგლებს. სასამართლომ მიუთითა ზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, ასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნ-

ქტზე, ამავე მუხლის მესამე ნაწილზე და მიიჩნია, რომ დისკრი-მინაციის ფაქტის დადგენის და ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა პირის გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისაგან დამოუკიდებლად არამართებულია, სასარჩელო მოთხოვნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს არაუფლებამოსილი სასამართლოს – სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მიერ, დავის განხილვას და ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ინკიზიციურია, სამართალწარმოების „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ პ.დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გადაწყვეტის მექანიზმს, კოდექსი ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით მითითებული საქმეების ჩამონათვალის გარდა კომპეტენციის სფეროს გამიჯვნისათვის გამოიყენება ზოგადი კრიტერიუმი (ენუმერაცია), რომლის მიხედვით სამართალწარმოების წესით განიხილება აგრეთვე სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხ.). აღნიშნული

ნორმა ახდენს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას მიკუთვნებულ საკითხთა წრის გაფართოებას, ადმინისტრაციული სამართალწარმოების იურისდიქციის სფეროში ნებისმიერი ისეთი დავის მოქცევას, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს გაფრთხილების გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 06.10.2014წ. №14 ბრძანების, ბ. დ-ის გათავისუფლების შესახებ მოპასუხის 17.10.2014წ. №40 ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებას, დისკრიმინაციული მოპყრობის გამო დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურებას, მატერიალური (ქონებრივი) ზიანის ანაზღაურებას სამსახურში პოლიტიკური ნიშანდებით დისკრიმინაციული მოპყრობისათვის, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგებლისათვის ბ. დ-ის სასარგებლოდ 2013, 2014, 2015 და 2016 წლებში მოსარჩელის მიერ გამოყენებული შვებულების ანაზღაურებას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 3.2 მუხლის მიხედვით საჯარო სამსახური იყოფა სახელმწიფო სამსახურად და სამსახურად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამავე კანონის 2.4 მუხლის თანახმად, გამგეობა და საკრებულო არიან ისეთი ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებები, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. საჯარო მოსამსახურე არის პირი, რომელიც ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში (4.1 მუხ.), ამავე კანონით არის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის (მე-16 მუხ.). ამდენად, ბ. დ-ე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე, იყო საჯარო მოსამსახურე, შესაბამისად, დისციპლინური ზომის გამოყენებისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანებების გამოცემის საფუძვლად მიე-

თითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 72-ე, 73¹, 73², 78-ე, 79-ე, 99-ე მუხლები, ასევე ისნის რაიონის გამგეობის თანამშრომლისა და აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათები. აღნიშნული ნორმების მიხედვით განისაზღვრება დაწესებულების შინაგანაწესში სამუშაო დროის დასაწყისის, დასასარულის და სამსახურში არყოფნის შეტყობინების გათვალისწინების საჭიროება (72-ე მუხ.), ქცევის ზოგადი წესები საჯარო მოსამსახურეთათვის (73¹, 73² მუხ.), საჯარო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (78-ე, 79-ე მუხ.), დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების წესი (99-ე მუხ.). ამდენად, სადავო აქტები გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და წარმომოქს უშუალო სამართლებრივ შედეგს საჯარო მოსამსახურისათვის. ამასთანავე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კოდექსის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის ბრძანებია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია (61-ე მუხ.). ამდენად, გასაჩივრებული სადავო ბრძანებები არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ფორმალური და მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის შესაბამისი ფორმით იქნეს გამოცემული. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების შესაბამისობას მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი განთავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, დისკრიმინაციული ქმედება გამოვლინდა სამსახურიდან გათავისუფლებაში, გათავისუფლების უკანონოდ ცნობის მიზნით მოსარჩელე მოითხოვს მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის

დადგენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მატერიალური მიზნის მისაღწევად, პირთა ქმედითი სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მოსარჩელეს ანიჭებს სარჩელის სხვადასხვა სახის და საპროცესო მოქმედებების გამოყენების შესაძლებლობას. სასკ-ის 22-25-ე მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული სარჩელების დიფერენცირებას შეცილებით (22-ე მუხ.), მავალდებულებელ (23-ე, 24-ე მუხ.) და აღიარებით (25-ე მუხ.) სარჩელებად. ამასთანავე, თითოეული ნორმით განსაზღვრულია შესაბამისი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები. სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის მიერ უფლების დასაცავად სწორი პროცესუალური საშუალების არჩევა. აღიარებითი სარჩელი, როგორც სარჩელის ერთ-ერთი სახე, არის პროცესუალური დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტი, მისი მეშვეობით არ ხდება მოსარჩელის მატერიალური უფლებების უმუალო განხორციელება, რამდენადაც აღიარებითი სარჩელით დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ან არარსებობა (სასკ-ის 25-ე მუხლით ასევე გათვალისწინებულია აქტის არარად აღიარების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება). მოცემული სახის სარჩელებთან მიმართებაში პროცესუალური კანონმდებლობით დაწესებულია დასაშვებობის წინაპირობები (სასკ-ის 25.2 მუხ.), აღიარებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს არ შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე. ამასთანავე, აღიარებითი სარჩელი დასაშვები არ არის, თუ იგი მიმართულია წმინდა ფაქტობრივი ინტერესის, ფაქტობრივი გარემოების ან სამართლებრივი ურთიერთობის არადამოუკიდებელი ნაწილის მიმართ. დასაშვებობის აღნიშნული წინაპირობები ემსახურება ისეთი ვითარების თავიდან აცილებას, როდესაც პირველად, ფაქტობრივად დადგინდება უფლების არსებობა და შემდგომში დადგება აქტის გაუქმების ან გამოცემის საკითხი. ამასთანავე, დისკრიმინაციის ფაქტი, როგორც წესი, არ დგება დამოუკიდებლად, არამედ მას თან ახლავს პირის კონკრეტული უფლების შეზღუდვა. ამიტომ, უმეტესად პირის სასარჩელო მოთხოვნა კომპლექსურია და უკავშირდება არა მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, არამედ იმ ძირითადი უფლების აღდგენას, რომელიც დისკრიმინაციის შედეგად დაირღვა. კანონმდებლობა არ უშვებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრას, ფაქტის დადგენა უნდა უკავ-

შირდებოდეს დისკრიმინაციის შეწყვეტას ან/და მისი შედეგების აღმოფხვრას ან მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნებში დისკრიმინაციის ფაქტის ცალკე დადგენის მოთხოვნის საკითხი არ დაუყენებია, დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მოსარჩელეს დასმული აქვს არამატერიალური და მატერიალური (ქონებრივი) ზიანის ანაზღაურებასთან, სადაც აქტების უკანონობასთან კავშირში.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ასაჩივრებს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 17.10.2014 გ. №40 და გაფრთხილების გამოცხადების შესახებ ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგებლის 06.10.2014 გ. №14 ბრძანებებს და ითხოვს მათ ბათილად ცნობას პოლიტიკური ნიშით სამსახურში მისი შევიწროვების გამო, სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს თანასწორობის პრინციპის დაცულობა, დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის შესაძლო არსებობას მოსარჩელე აყენებს იმ მიზნით, რომ დასაბუთდეს ბ.დ.-ის სამსახურიდან გათავისუფლების არამართლზომიერება, ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, მოსარჩელე არ ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენიას დამოუკიდებლად, მისი საბოლოო მიზანია აღდგეს სამსახურში ტოლფას თანამდებობაზე და უთითებს, რომ პოლიტიკური ნიშით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად არამართლზომიერად განთავისუფლდა სამსახურიდან. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ უკანონოა ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგების გასაჩივრებული აქტები, რადგან არ არსებობდა მათი გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ ამ მოთხოვნის საფუძვლი-ანობის და აქტების კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული ქმედება შესაძლოა განხორციელდეს სწორედ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით. მოსარჩელე თავად აღნიშნავს სასარჩელო განცხადებაში, რომ ფაქტის დადასტურებას აქვს მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, სასკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით აქტის კანონიერების მტკიცების ტკირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, დავის განხილვისას სასამართლო უნდა შეამოწმოს ადმინისტრაციის მიერ აქტის თუ მოქ-

მედების განხორციელების შედეგად თანასწორობის პრინციპის დაცულობა, დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა, რაც შეუძლებელია დავის წარმოშობის, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზის გარკვევის გარეშე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რომელმა კოლეგიამ უნდა განიხილოს საქმე, ამასთანავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, ამავე კანონის მე-10 მუხლი უთითებს, რომ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მიერ უნდა მოხდეს. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ სსკ-ის VII³ კარით, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას ან დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტას, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას, რის საფუძვლადაც უთითებს დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას. ყოველი დავის გადაწყვეტა საჭიროებს გარკვეული ფაქტების დადგენას, ვინაიდან სამართლით რეგულირებული ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე, ე.ო. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. სადაც ვო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას, სწორედ აღნიშნულზე იქნება ძირითადად დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილება ან უარი მის დაკმაყოფილებაზე. მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს შორის სხვაობა პირობითია, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტს სწორედ რომ სამართლებრივი დატვირთვა აქვს, დასადგენ ფაქტს სახელდობრ სამართლებრივი ასპექტის გამო აქვს მნიშვნელობა. დისკრიმინაციული ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოყვე-

ბა დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრის სახით მოსარჩელის ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფაქტის დადგენას მოყვება აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, ზიანის ანაზღაურება. აქტის კანონიერების და დისკრიმინაციის ცალ-ცალკე შეფასება შეუძლებელია, დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა სამოქალაქო სამართალ-ნარმოების წესით გამოიწვევს სამსახურიდან გათავისუფლების, სადაც აქტის კანონიერებაზე, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში სამსახურში აღდგენის საკითხებზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგის განსჯადობის ფარგლებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული დამოკიდებულება შესაძლოა გამოვლინდეს აქტის გამოცემით ან გამოცემაზე უარის თქმით, შესაბამისად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე მოთხოვნებია, მათი გამიჯვნა გამოიწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლების დარღვევას, საქმეთა განხილვის გაჭიანურებას, პარალელიზმს და დუბლირებას. ამდენად, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მიმდინარე დავაში სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და განსახილველად დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავის განხილვისას შესაძლოა გამოიყენოს სსკ-ის VII³ კარის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ამ სახეობის დავების სპეციფიკას, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, არსებობს სსკ-ის VII³ კარით დადგენილი წესების გამოყენების საფუძველი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის, საქმის განხილვის პროცესში შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი. დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძოსამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, შესაბამისად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმი-

ნისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი.

საქმის განსჯადობას არ განაპირობებს ის, თუ რომელ საპროცესო კოდექსში არის გათვალისწინებელი დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის მომწერიგებელი ნორმები. საჯარო მმართველობის საქმიანობის კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სადაც სამართალურთიერთობის სუბიექტის სტატუსის, უფლება-მოვალეობების, სამართალურთიერთობებში კანონით განსაზღვრული ოანასწორობის პრინციპზე დამყარებული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების სფეროდან. განსჯადობის დავის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მიერ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. დისკრიმინაცია აკრძალულია ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 4.2 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შემლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება“.

შესაბამისად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის, თვითნებობის აღმოფხვრა, საჯარო მმართველობაში ადმინისტრაციული იუსტიციის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიგს განეკუთვნება, თავად ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ეფუძნება კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს, საჯარო სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჭიროებს ეფექტურ სასამართლო კონტროლს, უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, შესაბამისად, მასზე უარის თქმა განსჯადობის საკითხის მექანიკური, პროცესუალური ნორმის განთავ-

სებისდამიხედვით მცდარია. აღნიშნული შედეგად გამოიწვევს თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის საკითხების ამორიცხვას ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სფეროდან, მისი იურისდიქციის მნიშვნელოვან შეზღუდვას, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უფლებადამცავი პოტენციალის შესუსტებას. საჯაროსამართლებრივია დავა იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე და სახელისუფლებო სუბიექტი ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ ურთიერთობაში იმყოფებიან, სწორედ ეს ფაქტორი და არა ნორმის ამა თუ იმ აქტში განთავსება განაპირობებს სამართალურთიერთობის ბუნებას და შესაბამისად განსჯადობას, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას, დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

დაუსაბუთებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. აღნიშნულ მოსაზრებას არ ადასტურებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ: დადგენილი ფაქტები ადასტურებენ არათანაბარ, ტენდენციურ მიღეობას; დიფერენცირებული მიდგომა არ არის გონივრული; დარღვეულია ბალანსი მიზანსა და გამოსაყენებელ საშუალებას შორის. დისკრიმინაცია არის კანონიერების უხევი დარღვევა, სასამართლო დაცვა ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინაალმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს (სზაკ-ის მე-60¹ მუხ.). საჯარო სფეროში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოითხოვს ადმინისტრაციული თვითნებობის, სახელმწიფო მმართველობაში დისბა-

ლანსის, უფლებამოსილების გადაჭარბების, პასუხისმგებლობის შესუსტების ფაქტებზე რეაგირებას. ასეთ ფაქტებზე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების რეაგირება ამკვიდრებს კანონიერების რეჟიმს სახელმწიფო მმართველობაში. დისკრიმინაცია უკავშირდება თანასწორობის ფუნდამენტური, კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, მისი აღმოფხვრა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებს ემსახურება, რაც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კომპეტენციის უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენს. საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების კანონიერების შეფასების კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს აქვს. თავისთავად დისკრიმინაციული მოპყრობა არ ცვლის, დავის ბუნებას, დისკრიმინაციული მოპყრობა არის მხოლოდ ის მართლსაწინააღმდეგო ნიშანი, რომელიც ასახავს კანონდარღვევის ხასიათს. საკასაციო პალატა იზიარებს სამოქალაქო კოლეგიის მოსახრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული აქტის სადაცოდ გახდომა გამოცემული აქტის დისკრიმინაციულების მოტივით არ აქცევს დავას ავტომატურად სამოქალაქო კატეგორიის დავად და არ იწვევს შედეგად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილვას, მით უფრო, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სამართალწარმოების თავისებურება ესადაგება სასამართლო წარმოების ინკიზიციურ საწყისებს, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობაა, რაც სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის გათვალისწინებით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, ამიტომ საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და შესაბამისად უნდა დაეცემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. დ-ის სარჩელი მოპასუხე ქ.თბილისის ისნის რაიონის გამ-
გეობის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდება-
როს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-
ჩივრდება.

დისკრიმინაციის ფაქტის დაღგენის, ზიანის ანაზღაურების და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პრენაციის გათიღად ცენტრის თაობაზე დავის განსჯადობა

განჩინება

№ბს-526-521(გ-16) 22 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 24 ნოემბერს ნ. ა-ემ სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - ქ. თბილისის მუნიციპალიტე-
ტის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2009 წლიდან მუშაობდა ად-
გილობრივ თვითმმართველობაში სხვადასხვა თანამდებობაზე.
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არ-
ჩევნების შემდეგ, როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს
რეგიონებში, თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მო-
ხელების მასობრივი გათავისუფლებები დაიწყო. მოსარჩელის
მითითებით, გათავისუფლებები ხორციელდებოდა, როგორც
ზემდგომი თანამდებობის პირების ბრძანებით, ისე მოხელეე-

ბის პირადი განცხადებების საფუძველზე, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებდა, რომ მოხელეების მსგავს გათავისუფლებებში ადგილი ჰქონდა მიკერძოებულ, დისკრიმინაციულ მიდგომებს პოლიტიკური პარტიისადმი „კუთვნილების“ გამოდა პირთა იძულებას „საკუთარი ნებით“ დაეტოვებინათ სამსახურები.

თვითმმართველობებში მოხელეების გათავისუფლებებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული მოვლენების ფონზე მოსარჩეულეს გაუწნდა ეჭვი, რომ სამსახურის დატოვებას ან სამსახურებრივ ჩამოქვეთებას მასაც მოსთხოვდნენ, რაც მოხდა კიდეც. მას „თავისი ნებით“ განცხადების დაწერა შესთავაზეს, რის შემდეგაც მოვალეობის შემსრულებლად უფრო დაბალი თანრიგის პოზიციაზე აიყვანდნენ, რაზედაც მოსარჩელემ კატეგორიული უარი განაცხადა, რის შემდეგაც ქ. თბილისის მერის დავით ნარმანის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1318 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა შტატების შემცირება. თუმცა აღნიშნულს რეალურად ადგილი არ ჰქონია.

მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული შევიწროვება და მოპყროპა პოლიტიკური შეხედულებების ნიშნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ნ. ა-ის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1318 ბრძანების ბათილად ცნობა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ნ. ა-ის სამუშაოზე აღდგენისა და თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენის დღემდე მისთვის განაცდურის ანაზღაურების დავალება და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსარჩელე ნ. ა-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობისა და შევიწროვების დადასტურების შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 იანვრის განჩინებით ნ. ა-ის სარჩელიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზ-

ლაურების თაობაზე მოთხოვნები. 6. ა-ის სარჩელი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად: 1. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაციია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება; 2. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართლნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას.

ამასთან, ადმინისტრაციული კოლეგიის განმარტებით, ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საკითხების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონი-ერების და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნებისმიერ შემთხვევაში ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. ამდენად, არსებული საკანონმდებლო რეგულაციების მხედველობაში მიღებით, ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე იმ-სჯელოს, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა კი საამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოცემული აქტის ხასიათი-სა და სხვა გარემოებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა განხორციელდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 მუხ-ლის შესაბამისად, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამარ-თლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარ-მოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშე-წონილია.

მოცემულ შემთხვევაში, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენი-სა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნე-ბის განსჯადობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს მათი ცალკე წარმოებად გა-მოყოფის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედ-გინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩე-ლის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგ-ზავნის უფლებამოსილ სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწი-ლის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩი-ნებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი დისკრიმინაციის ფაქტის და-გენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში უნდა გა-მოიყოს ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის განჩინებით ნ. ა-ის სარჩელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, დისკრიმინაცი-ის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თა-ობაზე, განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადა-საწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამარ-თლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამარ-

თლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: а) ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქარ-თველოს კანონმდებლობასთან; б) ადმინისტრაციული ხელშეკ-რულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაცი-ული ორგანის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმე-დების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად ალიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არასებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოე-ბის წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურ-თიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდი-ნარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული სა-მართალნარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავე-ბი, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სა-მართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. კანონმდებელმა ადმი-ნისტრაციული სამართალნარმოების საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან, აღნიშნული დავე-ბი წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, კი ადმინისტრაციული სა-მართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლოს შეხედებულებით, კონკრეტული დავაც ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსა-ზილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მითითებით, უდავოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი-ის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდუ-რის ანაზღაურების თაობაზე, არის ადმინისტრაციული წესით განსაზილებლი, ვინაიდან, დავის საგანს წარმოადგენს ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ხოლო ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქარ-თველოს კანონმდებლობასთან განიხილება ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით.

საქმის მასალებიდან სასამართლომ დადგენილად მიიჩნია,

რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის სამსახურიდან გათავისუფლებას დისკრიმინაციული მოტივით, კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გათავისუფლების ბრძანების გამოცემა მოხდა გარკვეული ნიშნით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციულად; შესაბამისად, სარჩელის არსი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობა და იმის დადგენა, მართლაც ხომ არ ჰქონდა ადგილი სამსახურიდან გათავისუფლებას გარკვეული ნიშნით. დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლო ვერ შეაფასებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლების შეფასების გარეშე. დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს იმას, რომ სამოქალაქო კოლეგიას მოუწევს იმსჯელოს სამსახურიდან გათავისუფლების საკითხზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, მან უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და დისკრიმინაციის დაგენის შემთხვევებში, დაავალოს დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც ასეთ შემთხვევებში მოიცავს სამსახურში აღდგენას. სამოქალაქო სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინდივიდუალური აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების დავალების უფლებამოსილება არ გააჩნია.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯაროსამართალებრივი დავის კერძო სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას კერძოსა-მართლებრივი ნორმების მეშვეობით ასაბუთებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-

ორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგბა კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დაფგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ სწორედ გარკვეული მოტივი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ან თუ გამოიკვეთება ე.წ. „კომპარატორი“ (როგორც დისკრიმინაციული ქმედების გამოვლენისათვის აუცილებელი ერთ-ერთი სტანდარტი), რომელსაც იმავე მოცემულობაში განსხვავებულად მოექცნენ, სახეზე იქნება დისკრიმინაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს და არაკანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. შეუძლებელია, განცალკევებით შეფასდეს აქტის კანონიერება და დისკრიმინაცია, მაშინ როცა სწორედ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი არის აქტის არაკანონიერების მთავარი განმსაზღვრელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციული მოტივები, უნდა ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ და შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დაგვის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

შესაბამისად, სასამართლომ მიზნია, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემონებებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, რის გამოც დაგვის საგნის ამგვარი დაყოფა გამოიწვევს მოსარჩელის უფლების ხელყოფას, მისი სარჩელი განიხილოს უფლებამოსილ-

მა სასამართლომ, აღნიშნული იქნება იმ გონივრული ვადის სტანდარტის უგულებელყოფა, რაც რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტინად იქნეს აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური წარმომადგენერაციური სასამართლების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

სასამართლოს აზრით, ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმდინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მიღებული გადაწყვეტილების შედავება, თავისითავად ვერ აქცევს ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო წრომების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალწარმოება, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ინკვიციურია. ამ სამართალწარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს.

შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ ისეთი სამართალურ-თიერთობის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად მოვიაზროთ, ნამდვილად არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაეკვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გადაწყვეტის მექანიზმს, კოდექსი ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არა-რად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებო-

ბა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწერილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ფორმალური და მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით იქნეს გამოცემული. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგების შესაბამისობას მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი განთავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, დისკრიმინაციული ქმედება გამოვლინდა სამსახურიდან გათა-

ვისუფლებაში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და და-საშვებობის კრიტერიუმები. სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერ-თი კრიტერიუმია მოსარჩელის მიერ უფლების დასაცავად სწო-რი პროცესუალური საშუალების არჩევა. დასაშვებობის აღნიშ-ნული წინაპირობები ემსახურება ისეთი ვითარების თავიდან აცი-ლებას, როდესაც პირველად, ფაქტობრივად დადგინდება უფ-ლების არსებობა და შემდგომში დადგება აქტის გაუქმების ან გამოცემის საკითხი. ამასთანავე, დისკრიმინაციის ფაქტს, რო-გორც წესი, თან ახლავს პირის კონკრეტული უფლების შეზღუდ-ვა. ამიტომ, უმეტესად პირის სასარჩელი მოთხოვნა კუმულა-ციურია და უკავშირდება არა მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქ-ტის დადგენას, არამედ იმ ძირითადი უფლების აღდგენას, რო-მელიც დისკრიმინაციის შედეგად დაირღვა.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დას-ტურდება, მოსარჩელე ასაჩივრებს ქ. თბილისის მუნიციპალი-ტეტის მერის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1318 ბრძანებას და ითხოვს მის ბათილად ცნობას. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა და იგი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლდა სამსახურიდან. შესაბა-მისად, მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგე-ნას, ამასთან, მისი საბოლოო მიზანია სამუშაოზე აღდგენა და უთითებს, რომ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპ-ყრობის შედეგად განთავისუფლდა სამსახურიდან. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ უკანონოა ქ. თბილისის მუნიციპა-ლიტეტის მერიის გასაჩივრებული აქტი, რადგან არ არსებობდა მისი გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლე-ბი. მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ინდივიდუალური ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. საკასა-ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ამ მოთხოვნის საფუძ-ვლით და აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნ-და მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაცი-ის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასა-მართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინა-აღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინა-ცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერია-

ლური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კერძოდ, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალნარმოება რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კართ, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს არა დამოუკიდებლად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას ან დისკრიმინაციული ქმედებსს შეწყვეტას, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რის საფუძვლადაც უთითებს დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობას. ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებულ ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფაქტის დადგენას მოყვება აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, ზიანის ანაზღაურება. აქტის კანონიერების და დისკრიმინაციის ცალ-ცალკე შეფასება შეუძლებელია, დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა სამოქალაქო სამართალნარმოების წესით გამოიწვევს სამსახურიდან გათავისუფლების, სადაც აქტის კანონიერებაზე, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში სამსახურში აღდგენის საკითხებზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული დამოკიდებულება შესაძლოა გამოვლინდეს აქტის გამოცემით ან გამოცემაზე უარის თქმით, შესაბამისად, დის-

კრიმინაციის ფაქტის დადგენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამომდინარე მოთხოვნებია, მათი გამიჯვნა გამოიწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას. ამდენად, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მიმდინარე დავაში სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და განსახილველად დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავის განხილვისას შესაძლოა გამოიყენოს სსკ-ის VII³ კარის დებულებები, რომლებიც არეგულირებენ ამ სახეობის დავების სპეციფიკას, არც ცვლის განსჯადობის საკითხს. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის საქმის განხილვის პროცესში შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთხება, ხოლო სადაც სამართლურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 24 ოქტომბრის №1318 ბრძანების ბათილად ცნობა, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ნ. ა-ის სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალება – ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართლარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის გალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია

განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (ნ. ა-ის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 24 ოქტომბრის № 1318 ბრძანების ბათილად (ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება) გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – 6. ა-ის სარჩელისა გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, განსჯადობით განსახილველად და-ექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-

- ტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისკიძინაციის ფაქტის დაღვის, ზიანის
ანუზღაურების და სამსახურიდან გათავისუფლების
შესახებ პრანების პათილად ცნობის თაობაზე
დავის განსჯადობა**

განხილვა

№ბს-610-604(გ-16) 22 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ი. ჭ-ას სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღნერილობითი ნაწილი:

ი. ჭ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სახალხო დამტკიცების მიმართ მოპასუხის 08.04.2016წ. №119 ბრძანების ბათილად ცნობის, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, დისკრიმინაციული ქმედებების შეწყვეტის დავალების და მატერიალური ზიანის – 500 ლარის ანაზღაურების მოხსენით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო სახალხო დამტკიცების მიკერძოებული და დისკრიმინაციული ქმედებები, რის შემდეგაც მასზე არ გაიცა პრემია, სხვა თანამშრომლებისგან განსხვავებით. მოსარჩე-

ლე თვლის, რომ მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმატებისადმი სახალხო დამცველი იყო მიკერძოებული და მას გააჩნდა პირადი დაინტერესება. მოსარჩევლე არის საჯარო მოსამსახურთა პროფესიული და პირველადი პროფესიულის ორგანიზაციის თავმჯდომარე. სახალხო დამცველმა არ გამოიყენა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის მიმართვა მოსარჩელის მიმართ დისციპლინური საჯელის შეფარდების მიზანშეუწონლობის შესახებ, რითაც სახალხო დამცველმა დაარღვეია „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონის 23.3 მუხლის მოთხოვნა. დისკრიმინაციული მოპყრობის დამადასტურებელია ასევე საკონკურსო-საათესტაციო კომისიის შემადგენლობიდან მოსარჩელის ამორიცხვა. მოსარჩევლე თვლის, რომ მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა განხორციელდა განსხვავებული აზრის გამოთქმისა და პროფესიული კუთვნილების ნიშნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 11.05.2016წ. განჩინებით სარჩელი ინდივიდუა-
ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნო-
ბის და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გამოყო
ცალკე წარმოებად და წარმოებაში იქნა მიღებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 11.05.2016წ. განჩინებით სარჩელი დისკრიმი-
ნაციის ფაქტის დადგენისა და დისკრიმინაციული ქმედებების
შეწყვეტის დავალების ნაწილში განსჯადობით გადაეგზავნა
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლაწარმოება დისკრი-
მინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-73 კარით, რომელიც ამ საქ-
მეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენის. ამდენად, კა-
ნონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღ-
მოფხვრის და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქ-
მეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთ-
ვნებს. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საკითხთა გან-
ხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში გან-
საზღვრულია სპეციალური წარმოება, რაც გამორიცხავს ამ კა-
ტეგორიის დავების ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ
განხილვას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სა-
სამართლოს განსჯადი საკითხების – ინდივიდუალური ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების და ადმინის-
ტრაციული ორგანოსთვის ქმედების განხორციელების დაგალ-

ბის საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნებისმიერ შემთხვევაში ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. ამდენად, არსებული საკანონმდებლო რეგულაციების მხედველობაში მიღებით, ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველზე, ხოლო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა საამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, გამოცემული აქტის ხასიათისა და სხვა გარემოებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა განხორციელდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 28.06.2016წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაოდეკლარაციის მე-6, მე-8, მე-10 მუხლებზე, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 და მე-16 მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის დანაწესზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადაცოდ ხდის ბრძანების გამოცემას დისკრიმინაციული მოტივით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – გაფრთხილების გამოცხადება მოხდა ისეთი ნიშნით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციულად. სარჩელის არსი ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის კანონიერებას და დისკრიმინაციას. დისკრიმინაციული მოტივით ბრძანების გამოცემას სასამართლო ვერ შეაფასებს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლების გამოკვლევის გარეშე. დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრძანების გამოცემასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს სამოქალაქო კოლეგიის მიერ ბრძანების კანონიერებაზე მსჯელობას. ადმინისტრაციული ორგანოსათვის

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-
მოცემის ან ქმედების განხორციელების დავალების უფლება-
მოსილების მინიჭება სამოქალაქო საქმეების განმხილველი სა-
სამართლოსათვის ენინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის
არს. საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია
სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკე-
ული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯაროსა-
მართლებრივი დავის კერძოსამართლებრივ დავად მიჩნევა მხო-
ლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯაროსამართლებ-
რივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძოსამართლებრივი ნორმების
მეშვეობით. ნებისმიერი სახის სასარჩელო განცხადებით მიმ-
დინარე სამართალწარმოებაში დისკრიმინაციული ნიშნით მი-
ლებული გადაწყვეტილების შედავება თავისითავად ვერ აქცევს
ამ სარჩელს სამოქალაქოდ, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს იმ
ზოგადი წესით, რითაც ძირითადი საკითხი განიხილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-
2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასა-
მართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქარ-
თველოს კანონმდებლობასთან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შე-
საბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარ-
მოების წესით განხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთი-
ერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ად-
მინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამი-
სად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის
ანაზღაურების საკითხის განხილვა დისკაპლინური სახდელის
გამოყენების კანონიერების შემონმებისგან დამოუკიდებლად
არამართებულია, რის გამოც დავის საგნის ამგვარი დაყოფა გა-
მოიწვევს სარჩელის უფლებამოსილი სასამართლოს განხილვა-
ზე მოსარჩელის უფლების დარღვევას.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია,
რომ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2
მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ად-
მინისტრაციული კანონმდებლობიდან; დავაში მონაწილე ერთ-
ერთი მხარეა ადმინისტრაციული ორგანო; დავის საგანი არის
ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც, თავის მხრივ, ინდივი-
დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. აღნიშუ-
ლის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა კოლეგიამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ და საქ-
მე სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის გადასაწყვე-
ტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტის რა დავას სასამართლოთა მორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი. ჭ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილელად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ცალკე დისკრიმინაციული ფაქტის შესახებ დავის გადაწყვეტის მექანიზმს, კოდექსი ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით მითითებული საქმების ჩამონათვალის გარდა კომპეტენციის სფეროს გამიჯვნისათვის გამოიყენება ზოგადი კრიტერიუმი (ცნუმერაცია), რომლის მიხედვით სამართლწარმოების წესით განიხილება აგრეთვე სხვა საქმებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხ.). აღნიშნული ნორმა ახდენს ადმინისტრაციულ სამართლწარმოებას მიკუთვნებულ საკითხთა წრის გაფართოებას, ადმინისტრაციული სამართლწარმოების იურისდიქციის სფეროში ნებისმიერი ისეთი დავის მოქცევას, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

განსახილელ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ... დეპარტამენტის უფროსის ი. ჭ-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 08.04.16წ. №119 ბრძანების ბათილად წრობას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, დისკრიმინაციის შეწყვეტას, მისი შედეგების აღმოფხვრას და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას 500 ლარის ოდენობით. სადაც ბრძანების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 73^2 , 78-ე და 132-ე მუხლები, ასევე სახალხო დამცველის აპარატის დებულების 26.2, 30.1 მუხლები. ამდენად, სადაც აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, აქტს საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმები, აქტი წარმოშობს უშუალო სამართლებრივ შედეგს საჯარო მოსამსახურისათვის,

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმიანობა წარმოადგენს საჯარო სამსახურს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესწავლის მიზნით შეიქმნა კომისია, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, ჩატარდა ზეპირი მოსმენის სხდომები. ამდენად, გასაჩივრებული სადავო ბრძანება არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ფორმალური და მატერიალური კანონიერება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად, დისკრიმინაციული ქმედება გამოყოფილი დასაშვებობაში. მოსარჩელე ითხოვს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას იმ მიზნით, რომ დასაბუთდეს გასაჩივრებული აქტის გამოცემის არამართლზომიერება. აღნიშნული გარემოების დადგენა დაადასტურებს გასაჩივრებული აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის არარსებობას. მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათოლად ცნობა, ზიანის ანაზღაურება. სწორედ ამ მოთხოვნის საფუძვლიანობის და აქტის კანონიერების შემოწმების ფარგლებში უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა. დისკრიმინაციის ფაქტი, როგორც წესი, არ დგება დამოუკიდებლად, არამედ მას თან ახლავს პირის კონკრეტული უფლების შეზღუდვა. ამიტომ, უმეტესად პირის სასარჩელო მოთხოვნა კომპლექსურია და უკავშირდება არა მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, არამედ იმ ძირითადი უფლების აღდგენას, რომელიც დისკრიმინაციის შედეგად დაირღვა. კანონმდებლობა არ უშვებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე დამოუკიდებელი სარჩელის აღვრას, ფაქტის დადგენა უნდა უკავშირდებოდეს დისკრიმინაციის შეწყვეტას ან/და მისი შედეგების აღმოფხვრას ან მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნებში დისკრიმინაციის ფაქტის ცალკე დადგენის მოთხოვნის საკითხი არ დაუყენებია, დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მოსარჩელეს დასმული აქვს სადავო აქტის უკანო-

ნობასთან კავშირში, მისი მიზანია აქტის ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ასაჩივრებს გაფრთხილების გამოცხადების შესახებ ბრძანებას და ითხოვს მის ბათილად ცნობას დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო, ზიანის ანაზღაურებას, სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მის მიმართ სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული ქმედებები, თავისი ქრონოლოგით და ინტენსივობით, განსხვავებული აზრის გამოხატვისა და პროფესიურებისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს. დისკრიმინაციული მდგომარეობის დასადასტურებლად მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში უთითებს რიგ გარემოებებს, რაც ქმნის დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გარკვევის საჭიროებას. მოსარჩელე უთითებს, რომ პროფესიურისადმი კუთვნილების და განსხვავებული აზრის გამოხატვის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად არამართლზომიერად დაეკისრა დისკიპლინური პასუხისმგებლობის ზომა, არ მიეცა პრემია. მოსარჩელის მოთხოვნების საფუძვლიანობის, სადაც აქტის კანონიერების შემოწმების ფაქტებში უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე მსჯელობა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული ქმედება შესაძლოა განხორციელდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ან აქტის გამოცემაზე უარის თქმით. ფაქტის დადასტურებას აქვს მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, სასკის მე-17 მუხლის მიხედვით აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, დავის განხილვისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს ადმინისტრაციის მიერ აქტის თუ მოქმედების განხორციელების შედეგად თანასწორობის პრინციპის დაცულობა, დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა, რაც შეუძლებელია დავის ნარმოშობის, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზის გარკვევის გარეშე. მართალია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად შეიძლება გამოცხადდეს არამხოლოდ დისკრიმინაციის, არამედ კანონის მოთხოვნათა სხვა დარღვევის გამო, თუმცა სწორედ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივი მოსარჩელის მიერ სახელდება სადაც აქტის გამოცემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მისი მართლწინააღმდეგობის დადგენა არ არის გამორიცხული დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის გარეშეც, არ ადასტურებს საჯარო სამსახურში პირის მი-

მართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის სამოქალაქო კოლეგის განსჯადობას. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს სადაც აქტის კანონიერებაზე, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურისათვის პრემიის გაცემის საკითხზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგის განსჯადობის ფარგლებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხერის შესახებ“ კანონი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რომელმა კოლეგიამ უნდა განიხილოს საქმე, ამასთანავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, ამავე კანონის მე-10 მუხლი უთითებს, რომ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. ამდენად, დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს როგორც კერძოსამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, შესაბამისად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მიერ უნდა მოხდეს. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ სსკ-ის VII³ კარით. ყოველი დავის გადაწყვეტა საჭიროებს გარკვეული ფაქტების დადგენას, ვინაიდან სამართლით რეგულირებული ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ ფაქტების საფუძველზე, ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის წორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს. მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს შორის სხვაობა პირობითია, დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტს სწორედ რომ სამართლებრივი დატვირთვა აქვს, დასადგენ ფაქტს სახელდობრ სამართლებრივი ასპექტის გამო აქვს მნიშვნელობა. დისკრიმინაციული ფაქტის დადასტურებას ავტომატურად მოყვება დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრა.

ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დავის განხილვისას გამოიყენებს სსკ-ის VII³ კარის დებულებებს,

რომლებიც არეგულირებენ ამ სახეობის დავების სპეციფიკას, არ ცვლის განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, არსებობს სკულის VII³ კარით დადგენილი წესების გამოყენების საფუძველი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის სრულ კომპეტენციას, საქმის განხილვის პროცესში იგი უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი.

საქმის განსჯადობას არ განაპირობებს ის, თუ რომელ საპროცესო კოდექსში არის გათვალისწინებული დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის მომწესრიგებელი ნორმები. საჯარო მმართველობის საქმიანობის კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სადაც სამართალურთობის სუბიექტის სტატუსის, უფლება-მოვალეობების, სამართალურთიერთობის კანონიერების და სტანდარტზე დამყარებული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით ნარმოშობილი დავების სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების სფეროდან. განსჯადობის დავის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კერძო სუბიექტების მიერ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით. სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს, რომელიც მიერმართება პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. კანონის და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პი-

რობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადგევატური დამოკიდებულება. დისკრიმინაცია, არაგონივრული დიფერენციაცია აკრძალულია ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 4.2 მუხლის თანახმად, „დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაცილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე შხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება“.

შესაბამისად, დისკრიმინაციის, თვითნებობის ყველა ფორმის აღმოფხვრა, საჯარო მმართველობაში ადმინისტრაციული იუსტიციის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიგს განეკუთვნება, თავად ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ეფუძნება კანონის და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს, საჯარო სფეროში დისკრიმინიაციის აღმოფხვრა საჭიროებს ეფექტურ სასამართლო კონტროლს, უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, შესაბამისად მასზე უარის თქმა განსჯადობის საკითხის მექანიკური, პროცესუალური ნორმის განთავსებისდამიხედვით მცდარია. აღნიშნული შედეგად გამოიწვევს თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის საკითხების ამორიცხვას ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სფეროდან, მისი იურისდიქციის მნიშვნელოვან შეზღუდვას, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უფლებადამცავი პოტენციალის შესუსტებას, პარალელიზმს და დუბლირებას, არ არის გამორიცხული აგრეთვე გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიების შექმნა. ყველა საჯაროსაბართლებრივი დავა, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის დავებისა, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციის განეკუთვნება. საჯაროსამართლებრივია დავა იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაცილე და სახელისუფლებო სუბიექტი ერთმანეთის მიმართ სუბორდინაციულ ურთიერთობაში იმყოფებიან, სწორედ ეს ფაქტორი და არა ნორმის ამა თუ იმ აქტში განთავსება განაპირობებს სამართალურთიერთობის ბუნებას და შესაბამისად განსჯადობას, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას, დავის ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განხილვას.

დაუსაბუთებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების და ადმინისტრაციული

ული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის ნაწილად. აღნიშნულ მოსაზრებას არ ადასტურებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ: დადგენილი ფაქტები ადასტურებენ არათანაბარ, ტენდენციურ მიდგომას; დიფერენცირებული მიდგომა არ არის გონივრული; დარღვეულია ბალანსი მიზანსა და გამოსაყენებელ საშუალებას შორის. დისკრიმინაცია არის კანონიერების უხეში დარღვევა, სასამართლო დაცვა ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს (სზაკ-ის მე-60⁰ მუხ.). საჯარო სფეროში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოითხოვს ადმინისტრაციული თვითწებობის, სახელმწიფო მმართველობაში დისბალანსის, უფლებამოსილების გადაჭარბების, პასუხისმგებლობის შესუსტების ფაქტებზე რეაგირებას. ასეთ ფაქტებზე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების რეაგირება ამკვიდრებს კანონიერების რეზიმს სახელმწიფო მმართველობაში. დისკრიმინაცია უკავშირდება თანასწორობის ფუნდამენტური, კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, მისი აღმოფხვრა უფლებებისა და კანონიერ ინტერესებს ემსახურება, რაც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კომპეტენციის უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენს. საჯარო მოსამსახურის მიმართ დისკიპლინური ზომების გამოყენება, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებების კანონიერების შეფასების კომპეტენციის მხოლოდ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს აქვს. თავისთვალი დისკრიმინაციული მოპყრობა არ ცვლის დავის ბუნებას, დისკრიმინაციული მოპყრობა არის მხოლოდ ის მართლსაზინააღმდეგო ნიშანი, რომელიც ასახავს კანონდარღვევის ხასიათს. ადმინისტრაციული აქტის სადაცვოდ გახდომა გამოცემული აქტის დისკრიმინაციულობის მოტივით არ აქცევს დავას

ავტომატურად სამოქალაქო კატეგორიის დავად და არ იწვევს შედეგად სამოქალაქო სამართალნარმოების წესით დავის განხილვას, მით უფრო, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სამართალნარმოების თავისებურება ესადაგება სასამართლო წარმოების ინკვიზიციურ საწყისებს, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობაა, რაც სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის გათვალისწინებით ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განსჯადია, ამიტომ საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით და შესაბამისად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ჭ-ას სარჩელი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტის დავალების ნაწილში მოპასუხე საქართველოს სახალხო დამცველის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოსგან შვილის გნახველ
პირად რეგისტრირების თაოგაზე დავის
განსჯადობა**

განხილვა

№ბს-382-377 (გ-16)

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატაშ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ვ. ქ-ის სარჩელთან
დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ქ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიას სსიპ სოციალური მომსახურების საა-
გენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კას-
პის რაიონული განყოფილების წინააღმდეგ სარჩელით მიმარ-
თა. მოსარჩელებ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სა-
აგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12491 გადაწყვეტი-
ლების, სოციალური მომსახურების სააგენტოს კასპის რაიონუ-
ლი განყოფილების 2015 წლის 7 აგვისტოს №04/13/04/1149 სა-
ოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე სსიპ სოცია-
ლური მომსახურების სააგენტოს დავალდებულება ვ. ქ-ის მისი
შვილის – ლ. ქ-ის მნახველად რეგისტრაციის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიამ 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით საქმე გან-
სჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადასცა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც გადაწყვეტილების ში-
ნაარსიდან გამომდინარე, საკითხი განხილული იყო სამოქალა-

ქო კოდექსის შესაბამისი თავით. გადაწყვეტილების მოტივების და მიზნების ეხება კერძო პირების პირადი ურთიერთობების საკითხებს. სადაც აქტების შინაარსი ენინააღმდეგება აღმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის აპრიორს – მის საჯარო, საზოგადოებრივ ხასიათს, მაშინ, როცა თვით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაშიც კი, აღმინისტრაციული ორგანიზაციების აღსოლუტურად ზუსტია კანონთან მიმართებაში და რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთის მიღების მიზანშეწონილობის საკითხი ვერ სცდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ მიზანთა ფარგლებს.

სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №04/12491 გადაწყვეტილება და სოციალური მომსახურების სააგენტოს კასპის რაიონული განყოფილების 2015 წლის 7 აგვისტოს №04/13/04/1149 საოქმო გადაწყვეტილება არ არის ადმინისტრაციული აქტი. შეიძლის მნახველ პირად დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც სამოქალაქო სამართალწარმოების რეგულირების საგანია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აღნიშნულ განჩინებას არ დაეთანხმა და წამოიწყო დავა საგნობრივი განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, განსახილებულ დავაზე სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვ. ქ-ის სასარგებლოდ ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ვ. ქ-ეს წარმოდგენილი სარჩელის საფუძველზე არ მიეცემა შვილის ნახვის შესაძლებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოსარჩელის მიერ მშობლის უფლების რეალიზაციის სამართლებრივ მექანიზმად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან შვილის მნახველ პირად დარეგისტრირებას.

სამოტივაციო ნანილი:

საკავაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა

შორის საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილებელად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადგა, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია

იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ად-მინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩევის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო - ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემული დავის საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრისათვის არ კმარა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხე არის სისპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

განსახილველ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სა-აგნტოს უფლებამოსილება განისაზღვრება სამოქალაქო კო-დექსის, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კა-ნონის, აგრეთვე „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №51/6 ბრძა-ნებით. ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს აღნიშნული ნორმატიული აქტებით მინიჭებული დისკრეციული უფლებამო-სილების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განმარტებას, რომ სამოქალაქო კანონმდებ-ლობის შესაბამისი ნორმები შესაძლებელია გამოყენებულ იქ-ნეს ვ. ქ-ის სასარგებლოდ ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრი-სათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ვ. ქ-ეს წარმოდგენილი სარჩელის საფუძველზე არ მიეცემა შვილის ნახ-ვის შესაძლებლობა. სამოქალაქო კანონმდებლობა შესაძლებე-ლია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მოსარჩელის მიერ მშობლის უფლების რეალიზაციის სამართლებრივ მექანიზმად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანო-საგან შვილის მნახველ პირად დარეგისტრირებას.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მნახველ პირად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ადმი-ნისტრაციული აქტის მართლზომიერება, ამდენად, მოცემული საქმე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ დავას წარ-მოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ქ-ის სარჩელი თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გან-

სკადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისისაქალაქი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავის განსჯადობა

განვითარება

№ბს-466-461 (გ-16)

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სიირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გ. გ-ას წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების, 6857 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე განმარტავს, რომ ქ. თბილისში, ... და ... ქუჩის კუთხეში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით ...) სახელმწიფოს საკუთრებაა. აღნიშნულ უძრავი ქონების ნაწილს – 31,67 კვ.მ-ს არამართლზომიერად ფლობს და სამენარმეო საქმიანობისთვის იყენებს ინდ. მენარმე გ. გ-ა. სსიპ ლევან სამხარაულის სახელმწიფოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ამ ფართზე საიჯარო ქირა 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იქნებოდა 250 ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე – 300 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი გ. გ-ას მიმართ განსახილველად გადაეცავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადაცო სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, წარმოდგენილი სარჩელის საგანი გამომდინარეობს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიდან, კერძოდ, 36-ე მუხლის 1^ს პუნქტიდან, შესაბამისად, მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის №ბს-465-460(გ-16) განჩინებით დამკვიდრებულ პრაქტიკას და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ად-მინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხელშეწყ-ლი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმი-ნისტრაციული დავის საგანს შეიძლება ნარმოადგენდეს: ა) ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქარ-თველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეწყ-ლების დადება, შესარულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაცი-ული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმე-დების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხ-ლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეე-ბის გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარ-მოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც აგრეთვე გამომ-დინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობი-დან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინის-ტრაციული ორგანო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სა-მართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიუ-რი გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც სა-ქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯა-რო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საკავშირო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო ქო-ნების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და გან-კარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორ-ციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-ბის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იუ-რიდიული პირი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგე-ნილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველო-ბის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონ-მდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან გან-ცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტრო-ლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწი-

ფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალინანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯაროსამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილის უპირატესობა ენიჭება სადაც სამართლურითიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტიდან ამოსავალია სადაც სამართლურითიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯაროსამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებ-

ლობიდან.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1³ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამეცნარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომ იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი გ. გ-ას მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისკრიმინაციის ფაქტის დაღგენის, ზიანის
ანაზღაურების და სამსახურის გათავისუფლების
შესახებ პრაცეპის გათილად ცონგის თაობაზე
დავის განსჯადობა**

განჩინება

№ბს-525-520(გ-16)

11 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შ. შ-ის სარჩელთან
დაკავშირებით წარმომობილი დავა განსჯადობის შესახებ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქა-
ლაქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

შ. შ-ემ 2016 წლის 27 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში
მოპასუხებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მი-
მართ. სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ მოსარჩელებ
მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოპასუხის ბრძა-
ნების ბათოლად ცნობა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარ-
გებლოდ სადაც ბრძანებით გათავისუფლებამდე არსებული
თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვა-
ნის შემდგომ არსებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვა-
ობის შესაბამისად მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, თავ-
დაპირველ თანამდებობაზე აღდგენა, „დისკრიმინაციის ყველა
ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბა-
მისად დისკრიმინაციის მსხვერპლად აღიარება, მოსარჩელის სა-
სარგებლოდ მატერიალური ზიანის – 10000 ლარის, მორალური
ზიანის – 30000 ლარისა და საპროცესო ხარჯების მოპასუხი-
სათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მარტის განჩინებით შ. შ-ის სარჩელიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენის, ხელფასის შემცირებით განპირობებული მიუღებელი თანხის ანაზღაურების, საშეგძლებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოიყო დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, 30000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების, 10000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და 2000 ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნები; შ. შ-ის სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, 30000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების, 10000 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და 2000 ლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ცალკე წარმოებად გამოყოფილი საქმეთბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადად მიიჩნია, რადგან სამართალწარმოება დისკრიმინაციისათან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, მისი აღმოფხვრისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმეების განსჯადობას სამოქალაქო სასამართლოებს მიაკუთვნებს, შესაბამის საქმეთა განხილვისათვის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით სპეციალური წარმოებაა განსაზღვრული, რაც გამორიცხავს ამ საქმეთა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ განხილვას. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საკითხების – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძვლების დადგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული საქმის განუყოფელ ნაწილად. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტი ნებისმიერ შემთხვევაში ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლით გამოიცემა და მხოლოდ ამ საფუძვლის დაუდასტურებლობა ან/და ადმინისტრაციული კანონმდებლობის არასწორად გამოყენება შეიძლება გახდეს აქტის უკანონოდ ცნობის საფუძველი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლებზე იმსჯელოს, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა კი საამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოცემული აქტის ხესიათისა და სხვა გარემოებების ერთობლივად შეფასების გზით უნდა განხორციელდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისს განჩინებით №2/6458-16 სამოქალაქო საქმე, განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩეულე სადაცვოდ ხდის სამსახურიდან გათავისუფლებას დისკრიმინაციული მოტივით, კერძოდ, მოსარჩეულ მიიჩნევს, რომ გათავისუფლების ბრძანების გამოცემა მოხდა გარკვეული ნიშნით, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციულად; შესაბამისად, სარჩელის არსი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობა და იმის დადგენა, მართლაც ხომ არ ჰქონდა ადგილი სამსახურიდან გათავისუფლებას გარკვეული ნიშნით. დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება სასამართლო ვერ შეაფასებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლების შეფასების გარეშე. დისკრიმინაციის საკითხი დაკავშირებულია სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექცევმდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწერილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის წორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს შ. ჟ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანების ბათილად ცნობა, სადაც ბრძანებით გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ არსებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება, თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დისკრიმინაციის მსხვერპლად აღიარება, მატერიალური ზიანის – 10000 ლარისა და მორალური ზიანის – 30000 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილს შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის

დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადაც სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – (შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანების ბათილად ცნობის, სადაც ბრძანებით გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობრივ სარგოსა და ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ არსებულ თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობის შესაბამისად მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებისა და თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განსახილეველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად აღგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონიერულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (შ. შ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 28 დეკემბრის №2902652 ბრძანების ბათილად ცნობა და თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენა) გამომდინარებს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, რომლის დადგენის შემთხვევაში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად პირს, რომელიც თავს დისკრი-

მინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განხორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნებს გააჩნიათ საერთო სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – შ. შ-ის სარჩელისა გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დისპრიმინაციის ფაქტის დაღგენის, ზიანის
ანაზღაურების და სამსახურიდან გათავისუფლების
შესახებ პრენაციის გათიღად ცონგის თაობაზე
დავის განსჯადობა**

განცილება

№ბს-609-603(გ-16)

11 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

ს. ბ-ემ, თ. ნ-ემ, თ. ქ-ამ, ნ. დ-მა, ნ. მ-მა, ე. ზ-ემ, გ. ლ-მა, ლ. გ-მა, ნ. ც-მა, მ. ტ-ემ, გ. ლ-ემ, ე. ნ-ემ, ს. გ-ემ, ნ. მ-მა, ნი. მ-ემ, ე. მ-მა, გ. ა-ემ, გ. ს-ემ 2016 წლის 30 მარტს სარჩელი აღმრეს თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიაში მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომი-
სიის მიმართ. მოსარჩელეებმა მოსარჩელეთა მიმართ დისკრი-
მინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციუ-
ლი მოპყრობის შედეგად მოსარჩელეთათვის მიყენებული მო-
როვალური ზიანის – თითოეულის სასარგებლოდ 1 (ერთი) ლარის
მოპასუხისათვის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 4 აპრილის განჩინებით ს. ბ-ის, თ. ნ-
ის, თ. ქ-ას, ნ. დ-ის, ნ. მ-ის, ე. ზ-ის, გ. ლ-ის, ლ. გ-ის, ნ. ც-ის, მ. ტ-
ის, გ. ლ-ის, ე. ნ-ის, ს. გ-ის, ნ. მ-ის, ნი. მ-ის, ე. მ-ის, გ. ა-ისა და გ.
ს-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევ-
ნო კომისიის მიმართ მოროვალური ზიანის ანაზღაურების თაობა-
ზე მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში; ს. ბ-ის, თ. ნ-ის, თ.
ქ-ას, ნ. დ-ის, ნ. მ-ის, ე. ზ-ის, გ. ლ-ის, ლ. გ-ის, ნ. ც-ის, მ. ტ-ის, გ.
ლ-ის, ე. ნ-ის, ს. გ-ის, ნ. მ-ის, ნი. მ-ის, ე. მ-ის, გ. ა-ისა და გ. ს-ის
სარჩელი მოპასუხე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისიის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ნაწილში
განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კოდექსის 363²-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად მიიჩნია, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეთა კოლეგიისათვის გადასაგზავნ დავას წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით №2/5471-16 სამოქალაქო საქმე, განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმომევზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ სარჩელის არსი არის მორალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის გამო. დისკრიმინაციის ფაქტი, ანუ დისკრიმინაციული მოპყრობა არის მხოლოდ ის მართლსაწინააღმდეგო ნიშანი, რომელიც ასახავს კანონდარღვევის ხასიათს, მის სამართლებრივ ბუნებასა და რაობას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან; დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული როგორი, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული საქმის წარმოების წესით განსახილველი მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალნარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალნარმოების პრინციპებისაგან. ადმინისტრაციული სამართალნარმოება,

განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან – ინკვიზიციურია. ამ სამართალწარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – ადმინისტრაციული ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ეოთარებაში ამყოფებს. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი სამართალურთიერთობის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად, შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობად მოვიაზროთ, ნამდვილად არ იქნებოდა შესაბამისობაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ საერთაშორისო რეგულაციებთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს

ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ად-მინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელე-მენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც ნარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწეს-რიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილე-ბელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძ-ნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გა-მომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფ-ლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მა-ტერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმე-ბის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მი-იჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ნარმოად-გენს ს. პ-ის, თ. ნ-ის, თ. ქ-ას, ნ. დ-ის, ნ. მ-ის, ე. ზ-ის, გ. ლ-ის, ლ- გ-ის, ნ. ც-ის, მ. ტ-ის, გ. ლ-ის, ე. ნ-ის, ს. გ-ის, ნ. მ-ის, ნი. მ-ის, ე. მ-ის, გ. ა-ისა და გ. ს-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის თითოეულის სასარგებ-ლოდ 1 (ერთი) ლარის ოდენობით ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაცი-ის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანო-ნის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასა-მართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინა-აღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინა-ცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერია-

ლური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალნარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკითხის განხილვა მორალური ზიანის ანაზღაურების კანონიერების შემოწმებისაგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის თაობაზე დამოუკიდებლად სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადავო სამართალუროთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის გალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული წორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა (ს. ბ-ის, თ. ნ-ის, თ. ქ-ას, ნ. დ-ის, ნ. მ-ის, ე. ზ-ის, გ. ლ-ის, ლ. გ-ის, ნ. ც-ის, მ. ტ-ის, გ. ლ-ის, ე. ნ-ის, ს. გ-ის, ნ. მ-ის, ნი. მ-ის, ე. მ-ის, გ. ა-ისა და გ. ს-ის სასარგებლოდ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანიზაციის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრება) გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს ამ სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – ს. ბ-ის, თ. ნ-ის, თ. ქ-ას, ნ. დ-ის, ნ. მ-ის, ე. ზ-ის, გ. ლ-ის, ლ. გ-ის, ნ. ც-ის, მ. ტ-ის, გ. ლ-ის, ე. ნ-ის, ს. გ-ის, ნ. მ-ის, ე. მ-ის, გ. ა-ისა და გ. ს-ის სარჩელისა გამო, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პენსიის ადგინისტრირების საკითხთან დაკავშირებული დაცის განსჯადობა

განჩინება

№პს-2-2(გ-16)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სსირტლაძე, (თავჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სა-
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-
3 ნაწილის საფუძველზე განიხილა სსიპ სოციალური მომსახურე-
ბის საგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების (ცენ-
ტრის სასამართლო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი
დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრმა 16.10.2015წ. სარჩელით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას მოპასუხების – მ. ვ-ის, ს. ქ-ის, ლ. ზ-ისა და ვ. მ-ას
მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხებ მ. ვ-ისათვის 2013 წლის
1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 აპრილამდე უკანონოდ მიღებული
სახელმწიფო გასაცემლის – საპენსიო პაკეტიდან 600 ლარის, ს. ქ-
ისათვის – 600 ლარის, ლ. ზ-ისათვის 2013 წლის 1 დეკემბრიდან
2014 წლის 1 აპრილამდე უკანონოდ მიღებული სახელმწიფო გასა-
ცემლის – საპენსიო პაკეტიდან 600 ლარის, ვ. მ-ასათვის 2013 წლის
1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 თებერვლამდე უკანონოდ მიღებუ-
ლი სახელმწიფო გასაცემლის – საპენსიო პაკეტიდან 300 ლარის
სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის აღდგენის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 27.11.2015წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომ-
სახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახუ-
რების ცენტრის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადა-

ეგზაგნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქტეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ. ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვისათვის დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილეველი სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანია არა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეყნებში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არამედ ფიზიკური პირის ვალდებულება სახელმწიფო-სათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 21.12.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაუგზვანა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე დაყრდნობით სამოქალაქო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში აღნიშნული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმობილი. ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად მიჩნევის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნის დაფუძნება ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებზე ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო პენსიის გაცემის წესი და საფუძველი გათვალისწინებულია ადმინისტრა-

ციული კანონმდებლობით – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და მის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ სსიპ სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადაცვო სამართალურო როგორის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც დავაა აღმოცენებული, დავის არსს და საგანს, სადაცვო სამართალურო როგორის ხასიათს.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. კანონის მე-5 მუხლით მოწესრიგებულია პენსიაზე უფლების წარმოშობისა და წარმოშობილი უფლების შეწყვეტის საკითხი, ხოლო კანონის მე-10 მუხლით – პენსიის ადმინისტრირების საკითხი, რომლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვე-

პუნქტის თანახმად, პენსიის ადმინისტრირების/კომპეტენტური ორგანოს ერთ-ერთი უფლება-მოვალეობაა პენსიის დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა და გადაანგარიშება. ზემოაღნიშნული კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს. ამასთანავე, „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 23.07.2012წ. №279 დადგენილების მე-15 მუხლით მოწესრიგებულია ზედმეტად დარიცხული სოციალური პაკეტის დაბრუნების საკითხი. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილია. მოცემული დავის განხილვა, სასამართლო მოთხოვნის საფუძვლიანობის გარკვევა საჭიროებს მოპასუხების მიერ საპენსიო კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის, სახელმწიფო პენსიების შეწყვეტის საფუძვლების არსებობის დადგენას, რაც საჯარო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს შეადგენს.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სასამართლონარმობის წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დადგინდება:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი მოპასუხების – მ. ვ-ის, ს. ქ-ის, ლ. ზ-ისა და ვ. მ-ას მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

„სახელმიწოდებელის შესახებ“ კანონიდან გამოყენებისას განსჯადობა

განხილვა

№პს-90-89(გ-16)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ი/მ ი. ბ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის.

აღნერილობითი ნაწილი:

ი/მ ი. ბ-მა 05.06.2014წ. სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 13.05.2014წ. №123 ბრძანების ბათილად ცნობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 20.01.2014წ. №ს-23 ბრძანების ბათილად ცნობა და მოსარჩელისათვის უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №...) საკუთრების უფლების აღდგენის დავალება. მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის სახით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის სადაც ქონების გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.07.2013წ. №48 განკარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა 3002 კვ.მ. არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ., ს/კ ..., რაც რეესტრში აქარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად აღირიცხა. აქარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 23.08.2013წ. №184 ბრძანების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მდებარე 3002 კვ.მ. არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრიგატიზების მიზნით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად), საკუთრებაში გადაეცა მოსარჩევლე ი/ზ ი. ბ-ს. ქონების საპრივატიზაციო პირობებად განისაზღვრა შემდეგი:

- საპრივატიზაციო თანხის გადახდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
- 2013 წლის 1 ნოემბრამდე არანაკლებ 3 ტ/სთ წარმადობის ციტრუსის დამხარისხებელი საწარმოს ამოქმედება;
- 01.11.13წ. მდგომარეობით საწარმოში არანაკლებ 2 ტონა ტვირთამზების ავტომტკირთავის, ელექტროსასწორისა და პნევმატური ურიკის საკუთრებაში ფლობა;
- საწარმოში სეზონურად არანაკლებ საქართველოს 10 მოქალაქის დასაქმება;
- აღნიშნულ პროექტში არანაკლებ 224 000 ლარის ინვესტიციის განხორციელება;
- საკუთრებაში გადაცემულ ობიექტებზე საწარმოს ამოქმედებიდან პროფილისა და დასაქმებულთა შენარჩუნება არანაკლებ 20 წლის ვადით.

30.08.2013წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადაეცა 3002 კვ.მ. არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი ს/კ ... საბაზრო ლირებულებით 45030 ლარი 06.09.13წ. ქონება საჯარო რეესტრში მოსარჩელის სახელზე აღირიცხა. მოსარჩელის 11.10.2013წ. განცხადებით აქარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეცნობა, რომ იმ დროისათვის განხორციელებული ჰქონდა 119 000 ლარის ინვესტიცია, კერძოდ, შეძენილი იყო 50 000 ლარის ლირებულების ასაწყობი მეტალის 360 კვ.მ. კონსტრუქციის ნაგებობა, 25 000 ლარის 2 ტონა თვითამწეობის ლირებულების ავტოკრანი, 1500 ლარის ლირებულების პნევმატურიურიკა, 2500 ლარის ლირებულების ელექტროსასწორი, დამსარისხებელი ხაზი (10 ტ/სთ) სარემონტო ხარჯებით, 40 000 ლარის ლირებულების წარმადობა. განსახორციელებლად დარჩენილი იყო 105 000 ლარის ინვესტიცია, რომლის ხელშემშლელი ფაქტობრივი გარემოებების შესახებაც მხარეს ეცნობა. მონიტორინგის ჯგუფის 28.10.2013წ. მოხსენებითი ბარათით გაირკვა, რომ ...

შემფუთავი საწარმოს შენობის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს იჯარით არსებულ ყოფილ ... შენობაში, რომელიც საქიროებს სანიტარულ დაზუშავებას, ხოლო 21.11.2013წ. მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ... ყოფილი ... ტეროტორიიდან მოსარჩელისათვის გადაცემულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა, რის გამოც ინვესტორმა ვერ განახორციელა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 04.10.2013წ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა შსს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოს და მოითხოვა 2002 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, რაზეც 10.10.2013წ. წერილით ინდივიდუალურ მენარმეს ეცნობა, რომ აღნიშნულის შესახებ უნდა მიერართა სასამართლოსათვის. 15.01.2014წ. აუდიტორული დასკვნის თანახმად, ი/მ ი. ბ-ის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან 30.08.2013წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.2 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტებით აღებული ვალდებულებები შესრულებულია. თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 20.01.2014წ. №23 ბრძანებით გაუქმდა მხარეთა შორის 30.08.2013წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელეს დაეკისრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტებლოს გადახდა 23142.33 ლარის ოდენობით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 20.01.2014წ. №23 ბრძანება ი/მ ი. ბ-მა გაასაჩივრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, რომლის 13.05.2014წ. №123 ბრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.2014წ. განჩინებით ი/მ ი. ბ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 3002 კვ.მ. უძრავი ქონების (ს/კ ...) გასხვისება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.09.2014წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.2014წ. განჩინება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 11.05.2015წ. გადაწყვეტილებით ი/მ ი. ბ-ის სარჩელი მოპასუხეების – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაგმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 05.06.2014წ. განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მდებარე 3002 კვ.მ. უძრავი ქონების (ს/კ ...) გასხვისება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.08.2015წ. განჩინებით ი/მ ი. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი/მ ი. ბ-ს შორის 30.08.2013წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს №ს-23 ბრძანების გაუქმების შესახებ არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განსახილველ დავის საგანთან და არც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. დავა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობდა და სამოქალაქო სამართალნარმოების წესითაა განსახილველი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, 26-ე მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებზე მითითებით ი/მ ი. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.12.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განსჯადობის საკითხის გასარევებად მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რამდენად გამომდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სა-

მინისტროს უშუალოდ საჯარო კომპეტენციიდან დადგებული ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განმარტების თანახმად, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია – სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ განეკუთვნება კერძოსამართლებრივ ურთიერთობას, სახელმწიფო ამ შემთხვევაში არ გამოდის ურთიერთობაში კერძო პირის თანასწორ მონაწილედ. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პროვატიზების მიზნით დადგებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი/მ ი. ბ-ს შორის 30.08.2013. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რადგან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა.

რამდენადაც ი/მ ი. ბ-ის სარჩელის დავის საგანია ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის კანონიერება, მოცემული სადაც სამართლებრივი ურთიერთობა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარობს.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი/მ ი. ბ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, უნდა შეფასდეს ი/მ ი. ბ-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო სა-

კუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვას, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემას ახორციელებს ქონების მმართველი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას განკარგავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 01.05.2007წ. №44 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითად ამოცანას შეადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობის, მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში ქონების პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის (კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის) საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელება. ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების კონტროლი ადმინისტრაციული მართლმასჯულების იურისდიქციის სფეროს განექუთვნება. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, პირდაპირი მიყიდვა/გადაცემა არის ქონების განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმა. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებაზე პირდაპირი მიყიდვით საკუთრების უფლების შექმნა არის პრივატიზება. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა

და განკარგვის შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონი ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც წესრიგ-დება სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები (“სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში და-ვის საგანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ი/მ ო. ბ-ს შორის 30.08.2013წ. გა-ფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებისა და პირ-გასამტებლოს დაკაისრების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 20.01.2014წ. №ს-23 ბრძანებისა და „ი/მ ო. ბ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაცმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ აჭარის ავტონომიუ-რი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 13.05.2014წ. №123 ბრძანების ბათილად ცნობა. შესაბამისად, სადაცო სამართალურ-თიერთობების მხარეებს წარმოადგენს ერთი მხრივ, ი/მ ო. ბ-ი, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოები – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აჭარის ავტონომი-ური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. მხა-რებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანია ხელვა-ჩიურის მუნიციპალიტეტის სოფ. ...ში მდებარე 3002 კვ.მ. არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ი/მ ო. ბ-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზნით, სიმბოლურ ფასად (1 ლარად), საკუთრებაში გადაცემა. ხელშეკ-რულების დადების სამართლებრივი საფუძველია აჭარის ავტო-ნომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 23.08.2013წ. №184 ბრძანება, რომლითაც დადგინდა ინდ.მენარ-მე ი. ბ-ისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრე-ბაში არსებული უძრავი ქონების (სოფ. ... მდებარე 3002 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირ-დაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პირობები. ამდენად, სახეზეა პირობადადებული ხელშეკრულება. საქართველოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინის-ტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორ-ციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, აჭარის ავტონომი-ური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს („გამყიდველი“) და ი/მ ო. ბ-ის („მყიდველი“) შორის დადებული 30.08.13წ. ხელშეკრულება, რომლითაც „მყიდველმა“ სიმბოლურ

ფასად (1 ლარად) შეიძინა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ... მდებარე 3002 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 45.030 ლ. საბაზრო ღირებულებით და რიგი საპრივატიზებო პირობის დადგენილ ვადაში შესრულება, არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობაში იყენებს როგორც საჯაროსამართლებრივ, ისე კერძოსამართლებრივ ფორმებს. სამინისტრო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიციის მიხედვით არის ადმინისტრაციული ორგანო და ინდ.მენარმესთან ხელშეკრულების დადგებისას სამინისტრო ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, ხელშეკრულება დაიდო საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზრველი ძირითადი ელემენტია. სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა ანუ პრივატიზაცია სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. საერთო წესის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვს ორგანოსათვის კანონმდებლობით მოწესრიგებულ უფლებამოსილებათა კომპლექსის რეალიზაციას (საჯარო მოქმედების (მაგ. გამოქვეყნება) განხორციელება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (საკუთრების მოწმობა) გამოცემა და სხვ.). სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დოკუმენტი – ხელშეკრულება თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება (სუს 15.11.076., №ბს-827-879(გ-07) განჩინება).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ი/მ ი. ბ-ს შორის 30.08.13წ. დადგებული ხელშეკრულება ითვალისწინებს საინვენსტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით საჯარიმო სანქციების გამოყენების, ცალმხრივად ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას (მე-4 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ 13.12.13წ. ბრძანებით სამინისტრომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხელშეკრულების გაუქმების, პირგასამტებლოს დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების დადგენისა და საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით. ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულ იქნა ი/მ ი. ბ-ი. მინისტრის 20.01.14წ. №ს-23 ბრძანებით ხელშეკრულება მოიშალა, ინდ.მენარმეს დაეკისრა საჯარიმო თანხის გადახდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 18.03.14წ. №61 ბრძანებით ი/მ ი. ბ-ის ადმი-

ნისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. 13.05.14ნ. №123 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადება, დადება ან გაუქმება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით უნდა მოხდეს. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს საჯაროსამართლებრივი საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო საჯაროსამართლებრივ ფუნქციებს ასრულებს არამხოლოდ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას, არამედ აგრეთვე ასეთი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში. ის გარემოება, რომ სადაც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლად მხარეები უთითებენ სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ადასტურებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილვის შესაძლებლობას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ დამატებით სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დაადგინდეთ:

1. ინდ.მენარმე ი. ბ-ის სააპელაციო საჩივარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადგინისტრაციული აქტის არარად აღიარების თაობაზე დავის განსჯადობა

განხილვა

№პს-626-619(გ-16)

24 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 29 აგვისტოს გ. ი-მა სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ „საზოგადოებრივი მუნი-
ციური“ მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავ-
მჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის №726-კ ბრძანების არა-
რა აქტად აღიარება მოითხოვა, რომლითაც დამტკიცდა სსიპ
„საქტელერადიომაუწყებლობის“ სტრუქტურა და საშტატო
ნუსხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 2 სექტემბრის განჩინებით გ. ი-ის
სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქარ-
თველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის
პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალუ-
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ად-
მინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებ-
ლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებ-
რივ აქტს, რომელიც ანქსებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს
პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეო-
ბებს. სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის
არსებითი და გადამწყვეტია ისეთი ნორმატიული ელემენტი, რო-
გორიცაა დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამარ-

თლის კანონმდებლობიდან. ამასთან, სამართალსუბიექტობის პრინციპის შესაბამისად, სადაც სამართალურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა დავაში არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულ საქმედ მიჩნევის აბსოლუტურ კრიტერიუმს, არამედ უმთავრესია დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ემყარებოდეს სწორედ ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სადაც ბრძანება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელიც განხილულია როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უნდა შეიცავდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტისთვის დადგენილ რეკვიზიტებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ სადაც ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სადაც ბრძანება არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, რაც მისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისთვის ერთ-ერთ განმასაზღვრელ ელემენტს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, რომლის მიხედვით, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განესაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე, ხელშეკრულების სახით; საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯარო სამართლებრივი

კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შეღავათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, ხოლო დავის წარმოშობის პირობებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალნარმობით განხილვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, ვინაიდან, სსიპ „საქმეთა დინომაუწყებლობის“ მიერ შრომით მოწყობასთან და რეორგანიზაციის გამო მის თანამშრომლებთან შრომით ურთიერთობა წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ სადაც ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნას კერძო სამართლის კანონმდებლობა – შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განხილულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადაც ურთიერთობა სამოქალაქო შინაარსის მატარებელია და მისი ძირითადი სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები, შესაბამისად, მოცემული საქმე განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალნარმობის წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გაიზიარა მხარეთა მოსაზრებები განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი, თუ სადაც იქნებოდა საშტატო განრიგის დამტკიცების შემდეგ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიხედულებით, დავა იმ აქტან დაკავშირებით, რომლის არარად აღიარებასაც ითხოვს მოსარჩევე, უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის №658 ბრძანებულებით დამტკიცებული სსიპ „საქართველოს ტელეკომპანიისა და რადიომაუწყებლობის“ წესდების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნის დაუცველობას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლნარმოების წესით საქმეები განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი უნდა ემყარებოდეს სწორედ მას და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისთვის დაგენილ მოთხოვნებს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადაცო აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; განსახილველი დავა კი გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლზე, რომლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობისა რსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემული სარჩელის მოთხოვნაა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება, რომელიც განხილულ უნდა იქნეს არა სამოქალაქო, არამედ – ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3.

მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შექება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებ-

ლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის №726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარება წარმოადგენს, რომლითაც დამტკიცდა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სტრუქტურა და საშტატო წუსხა. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ოქტომბრიდან. 2004 წლის 15 სექტემბერს გამოცემულ იქნა №727-კ ბრძანება, რომლის თანახმადაც სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის №726-კ ბრძანების საფუძვლით, ორგანიზაციის საშტატო განრიგისა და სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით მუშაკები 2004 წლის 1 ოქტომბრიდან გადანაცვლებულ იქნენ სხვადასხვა მომსახურების განყოფილებაში, აღნიშნული ცვლილება შეეხო მოსარჩელესაც, ხოლო სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2005 წლის 25 იანვრის №11-კ ბრძანებით გ. ი-ი გათავისუფლდა სამსახურიდან.

მოსარჩელე სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის №726-კ ბრძანების არარა აქტად აღიარებას იმ საფუძვლით ითხოვს, რომ მისი გამოცემისას დარღვეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის №658 ბრძანებულებით დამტკიცებული სსიპ „საქართველოს ტელეკომპანიისა და რადიომაუწყებლობის“ წესდების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით თავმჯდომარე ამტკიცებს საშტატო განრიგს და განსაზღვრავს წლიური სახელფასო ფონდის რაოდენობას. მოსარჩელის მითითებით, სადაც ბრძანების გამოცემისას, თავმჯდომარეს საშტატო განრიგის დამტკიცებისათვის არ მიუმართავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თვის თანხმობის მისაღებად და თანხმობის გარეშე დაამტკიცა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ საშტატო განრიგი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო საამირათლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მოსაზრებას, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან,

მოცემულ შემთხვევაში გ. ი-სა და სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავა იმ აქტთან დაკავშირებით, რომლის არარად აღიარებასაც ითხოვს მოსარჩელე, უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის №658 ბრძანებულებით დამტკიცებული სსიპ „საქართველოს ტელეკომპანიისა და რადიომაუწყებლობის“ წესდების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნის დაუცველობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ განსჯადობის მიხედვით მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე – გ. ი-ის სარჩელისა გამო, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯადობა

კორპუსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა

განცილება

№ბს-628-621 (კ-15)

5 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნიშვნილობითი ნაწილი:

სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ
თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „...“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 2 565 200,86 (გადახდილი თანხა 2 227 726.68 ლარი + პირგასამტებლო 337 474.18 ლარი) ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“ შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ იკისრა ვალდებულება საინფორმაციო-სარეკლამო ერთჯერადი გამოყენების სიუჟეტების დამზადებისა და მათი ტელეარხის ეთერში განთავსების შესახებ თანდართული მედია-გეგმის მიხედვით უკრაინაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს (შემკვეთს) უნდა გადაეხადა შეთანხმებული საზღაური – 1 732 517. 65 აშშ დოლარი. სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ პირნათლად შესარულა თავისი ვალდებულება და შპს „...“ სრულად გადაუხადა მომსახურების ლირებულება, ხოლო შპს „...“ ნაწილობრივ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და სსიპ „საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გაუნია მხოლოდ 632 224 ლარის ღირებულების მომსახურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.01.13 წლის გან-

ჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტი მიუთითებდა, რომ დავა არაგანსკადმა სასამართლომ განიხილა, ვინაიდან, მისი აზრით, მოცემული საქმე სამოქალაქო დავას წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სისი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკავშირდებოდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სისი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკავშირდებოდა; შპს „...“ სისი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა შეუსრულებელი მომსახურების საფასურის, 2 227 726.68 ლარის, ასევე პირგასამტებლოს – 33 747,41 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიჩნია:

1. საქართველოს მთავრობის 08.02.2012 წლის №200 განკარგულებით, სახელმწიფო ბრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით დაევალა სისი საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს საქართველოს სანივესტიციო, ტურისტული და ღვინის ცნობადობის ამაღლების კუთხით, ამ განკარგულების №1 და №2 დანართებით გათვალისწინებულ უკრაინულ ტელერახებზე სპეციალური პროგრამების მომზადებისა და ეთერში გასვლასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება შპს „...“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 1 732 517.64 აშშ დოლარის ფარგლებში. ამავე განკარგულებით შპს „...“ გათავისუფლდა ხელშეკრულებით წაერთოს ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად წარსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებისაგან.

2. საქართველოს მთავრობის 22.02.2012წ. №328 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 08.02.2012წ. №200 განკარგულების მე-2 პუნქტში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ასევე ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა განკარგულების დანართი №1.

3. საქართველოს მთავრობის 10.08.12წ. №1592 განკარგულე-

ბით შეტანილი იქნა ცვლილება 2012 წლის 8 თებერვლის №200 განკარგულებაში და №1 დანართიც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რომლითაც ასევე კონკრეტულად განისაზღვრა სიუჟეტების გასვლის დრო, ხანგრძლივობა, არხი, სიუჟეტების რაოდენობა თვეების მიხედვით და მათი თემატიკა.

4. 08.02.2012 წ. სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს „...“ შორის საქართველოს მთავრობის 08.02.2012 განკარგულების საფუძველზე დაიდო №4/02 ხელშეკრულება. ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტის თანახმად, შპს „...“ ვალდებულად უზრუნველყოს საინფორმაციო-სარეკლამო სიუჟეტების დამზადება და მათი ტელეარხის ეთერში განთავსება თანდართული მედია-გეგმისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმგვარად, რომ იგი პასუხობდეს უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (მათ შორის, სიუჟეტების შინაარსიდან გამომდინარე ტრანსლირების დროსთან დაკავშირებულ შეზღუდვებს), სიუჟეტების კონცეფციებს, ქრონომეტრაჟს, ტელეარხის ტექნიკურ მოთხოვნებს, ამ ხელშეკრულების პირობებს. ხელშეკრულების 3.1.2. პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია დაამზადოს და ეთერში განათავსოს მხოლოდ უკრაინის მოქმედ კანონმდებლობასთან, ტელეარხის ტექნიკურ მოთხოვნებთან და ამ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისი სიუჟეტები. ხელშეკრულების 3.1.6. პუნქტის მე-5 აზაცით მხარეებმა გაითვალისწინეს სიუჟეტი მესამე პირების საავტორო ან/და მომიჯნავი უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი მხარე და დარღვევის გამოსწორების პროცედურა, ხოლო ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 1 732 517.65 აშშ დოლარით და იგი მოიცავდა კანონით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ამავე პუნქტით დადგინდა, რომ მითითებული საერთო ღირებულებიდან 1 155 011.77 აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ შპს „...“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო დანარჩენი თანხა, 577 505.88 აშშ დოლარი, შესაბამისი ანგარიშების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ანგარიშფაქტურების ნარდგენის საფუძველზე. 11.1 პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულების ყველა პირობა კონფიდენციალურია. თუმცა მხარეებს უფლება აქვთ გაავრცელონ ინფორმაცია ასეთი ხელშეკრულების არსებობის შესახებ. ყოველი მხარე მიიღებს აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ თავი აარიდონ მესამე პირებისათვის ამ ხელშეკრულების გაცნობას მეორე მხარის თან-

ხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი გაცნობა ხორციელდება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით უფლებებისა და ინტერესების სასამართლოში დაცვისათვის ან სხვა შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია უკრაინის კანონმდებლობით. ხელშეკრულების 5.4 პუნქტის თანახმად, შპს „...“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და მიეცემა დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს „...“ შორის 17.08.2012წ. საქართველოს მთავრობის 08.02.2012წ. №200 და 10.08.2012წ. №1592 განკარგულებების საფუძველზე დაიდო შეთანხმება „08.02.2012წ. №4/02 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და ხელშეკრულების 4.1 და 4.2 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ხოლო მხარეების მიერ 08.02.12წ. ხელმოწერილი ხელშეკრულების დანართი №1 მედია-გეგმა შეიცვალა ამ შეთანხმების დანართი №1 მოცემული მედია-გეგმის შესაბამისად. ცვლილებების შედეგად 4.2. პუნქტით დადგინდა, რომ ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე მხარეები ადგენენ ორმხრივ აქტს, რომელშიც მიეთითება დაკვეთისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა (წუთები და/ან წამები), მომსახურების ღირებულება საანგარიშო პერიოდისათვის; აქტი მზადდება კომპანიის მიერ და ეგზაგნება დამკევთს არაუგვიანეს მომსახურების განცვის საანგარიშო თვის მომდევნო თვის 12 რიცხვისა. 2012 წლის 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდში დამზადებულ და ეთერში ფაქტობრივად გასულ სიუჟეტებზე არაუგვაინეს 2012 წლის 25 აგვისტოსი.

6. 21.08.12წ. №4/02-1 მიღება-ჩაბარების აქტით სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ ჩაიბარა 2012 წლის 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით 15 სიუჟეტის ტრანსლირება არხზე „...“. ტრანსლირების დროდ მითითებულია 148 წუთი და 41 წამი, საერთო ღირებულება 326 309 ლარი. აღნიშნულის დამადასტურებლად მითითებულია დანართად წარდგენილ 1,2,3 საეთერო ცნობებზე. ამავე აქტით მიიღო, ხოლო კომპანია მ ჩაიბარა 2012 წლის 1 მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით 24 სიუჟეტის მომზადება საერთო ღირებულებით 305 915 ლარი. მითითი

თებულია, რომ კომპანიამ ჩააბარა, ხოლო დამკვეთმა ჩაიბარა განეული მომსახურება და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მხარეებს შორის სადაცო არ არის.

7. სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ 21.11.126. №01/03-35 წერილით მოთხოვა განეული მომსახურების დამადასტურებელი აქტების წარდგენა.

8. შპს „...“ 28.11.126. №04/11 წერილით აცნობა, რომ უგზავნიდა 2012 წლის 1 აგვისტოდან 2012 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით განეული მომსახურების დამადასტურებელ აქტებსა და საეთერო ცნობებს. წერილს თანდართული აქვს მიღება-ჩაბარების აქტების პროექტები, რომლებიც ხელმოწერილია შპს-ს დირექტორის მიერ, და საეთერო ცნობები, რომლებიც მომზადებულია შესაბამისი ტელეარხების მიერ და ხელმოწერილია ასევე მათ მიერ.

9. სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს 30.11.126. №01/03-369 წერილით შპს „...“ სააგენტომ აცნობა, რომ წარდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებით დადგენილ ვალდებულების შესრულების გრაფიკს და პირობებს, რაც იყო დადგენილი №1 დანართით. სააგენტომ აცნობა კომპანიას, რომ ამით დაირღვა ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებები და ამავე ხელშეკრულების 3.2.5. პუნქტის შესაბამისად, სააგენტო წყვეტდა ხელშეკრულებას. სააგენტომ ხელშეკრულების 3.1.10. პუნქტის საფუძველზე მოითხოვა შეუსრულებელი ვალდებულებისათვის წინასწარ მიღებული თანხის 2227726.68 ლარის დაპრუნება, ასევე ხელშეკრულების 5.4 პუნქტის საფუძველზე, 337474.18 ლარის ოდენობით პირგასამტებლის გადახდა. 25.12.126. №01/03-413 წერილით, სააგენტომ კომპანიას სთხოვა განეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და ვიდეომასალის წარმოდგენა. ასევე იმ დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც ცალკეულ არსებზე გასული ცალკეული სიუჟეტების იდენტიფიცირება იქნებოდა შესაძლებელი ვიდეოფაილის სახელწოდებისა და ქრონომეტრაჟის, ასევე მათი შინაარსის, ფასისა და გადაცემის დასახლების მითითებით, რომლის ფარგლებშიც გავიდა სიუჟეტი.

10. შპს „...“ 10.12.12 წ. №05/12 წერილით, რომელიც სააგენტოს 20.12.12 წელს გადაეცა, საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს ეცნობა, რომ კომპანიის 28.11.12 წ. წერილზე თანდართულ მიღება-ჩაბარების აქტებში მათი კონტრაქტორის მიერ არასწორი საეთერო ცნობის წარმოდგენის გამო არასწორი

ინფორმაცია მიეწოდა სააგენტოს სიუჟეტების გასვლის დროებისა და ქრონომეტრაჟის თაობაზე. სააგენტოს ეცნობა, რომ შპს „...“ მიერ ტელეარხებიდან მოპოვებული იქნა დაზუსტებული ინფორმაცია სიუჟეტების გასვლის დროებისა და ქრონომეტრაჟის თაობაზე და დამზადებული სიუჟეტების ჩანაწერები, რომლებიც წერილს თან ერთოდა. წერილზე თანდართულია 31.08.12წ. მიღება-ჩაბარების აქტის პროექტი პირველი აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით გასული სიუჟეტებისა და მათი ლირებულების შესახებ, 30.09.12წ. მიღება-ჩაბარების აქტი – პირველი სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდზე, 31.10.12წ. მიღება-ჩაბარების აქტი – პირველი ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე, 30.11.12წ. მიღება-ჩაბარების აქტი – პირველი ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდზე.

11. სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ სასამართლოში წარადგინა შპს „ა...“ მიერ შესრულებული 25.12.12წ. №20122512/01 სატელევიზიო მონიტორინგის საეთერო ცნობა, რომლის თანახმად, შპს „ა...“ და სააგენტოს შორის 17.12.12წ. გაფორმებული №1/117 ხელშეკრულების თანახმად, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იყო ამავე წერილში მითითებული სიუჟეტების მონიტორინგი. შპს „ა...“ აცნობებდა წერილით სააგენტოს, რომ 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უკრაინულ სატელევიზიო არხებზე გავიდა ამავე წერილში მითითებული სიუჟეტები. მითითებულია თარიღი, არხი, გადაცემის დასახელება, დასაწყისი, სიუჟეტის დასაწყისი და დასასრული, ასევე ვიდეო ფაილის დასახელება. სულ 11 სიუჟეტია მითითებული.

12. შპს „...“ მიერ, სასამართლოს წარედგინა 25.06.13წ. განჩინებით დავალებული დაზუსტებულ შესაგებელზე თანდართული მტკიცებულება, კერძოდ, შესაბამისი ტელეარხების სველი ბეჭდებით დამოწმებული საეთერო ცნობები.

13. სააპელაციო სასამართლოში აპელანტმა წარმოადგენა შპს „ა...“ 2014 წლის 12 თებერვლის წერილი, კომპანიის მიერ, 2012 წლის 25 დეკემბერს, გაცემული სატელევიზიო მონიტორინგის საეთერო ცნობისა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს „ა...“ შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების განმარტების თაობაზე, რომლითაც კომპანია ადასტურებს, რომ სიუჟეტები, რომელთა მონიტორინგი მოითხოვა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტომ უკრაინულ სატელევიზიო არხებზე, 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში არ გასულა. აღნიშნული დაადასტურა სააპელაციო სასამართლოში სპეციალისტის სახით დაკითხულმა 6. გ-ემ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ არ დასტურდება შპს „...“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, რის დასადასტურებლად მიუთითებს შესაბამისი ტელეარხების მიერ სველი ბეჭდით დამოწმებულ ცნობებზე, სიუჟეტების ტრანსლირების თაობაზე, ასევე არ იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ გარემოებას არ ადასტურებს შპს „...“ ცნობა. პალატის მოსაზრებით, სასამართლო დასკვნა ემყარება ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს, კერძოდ, სასამართლომ ერთი მხრივ დადგენილად მიიჩნია, რომ „...“ მიერ წარმოდგენილი სიუჟეტების ტრანსლირების გრაფიკი და ხელშეკრულების დანართით, მედია-გეგმით, განსაზღვრული გრაფიკი იყო სხვადასხვა, ასევე, მონიტორინგის ცნობით წარმოდგენილი ვიდეოფაილები არ შეესაბამებოდა მხარეთა შორის შეთანხმებულ გრაფიკს, სატელევიზიო არხსა და გადაცემებს, თუმცა ამის საპირისპირო მიიჩნია, რომ ცნობა არ ადასტურებდა მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას და ცნობით ვერ დგინდებოდა, რომ მითითებულ პერიოდში უკრაინულ არხზე სხვა სატელევიზიო სიუჟეტები საქართველოს შესახებ არ გასულა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტმა წარადგინა შპს „...“ 2014 წლის 12 თებერვლის წერილი, 2012 წლის 25 დეკემბერს გაცემული სატელევიზიო მონიტორინგის საეთერო ცნობის განმარტების თაობაზე, რომლითაც დასტურდება, რომ სადაც პერიოდში, სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს „...“ შორის საქართველოს მთავრობის 08.02.2012 წ. №200 განკარგულების საფუძველზე დადებული №4/02 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიუჟეტები, უკრაინულ ტელეარხზე არ გასულა, რაც როგორც აღინიშნა, ასევე დაადასტურა სააპელაციო სასამართლოში სპეციალისტის სახით დაკითხულმა ნ. გ-ემ. აღნიშნულ დასკვნას ვერ აბათილებს საქმეში წარმოდგენილი დამზადებული სიუჟეტების ჩანაწერები, ვინაიდან იგი არ ადასტურებს ამ სიუჟეტების უკრაინულ სატელევიზიო სივრცეში გასვლის ფაქტს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს „...“ ვერ წარადგინა მტკიცებულება (ვიდეოფაილები ან მონიტორინგის დასკვნა), რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა სიუჟეტების დათემულ ტელეარხებზე, დათემულ დროს გასვლის ფაქტს. პალატის მოსაზრებით, ამ გარემოებას არ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოში შპს „...“ მიერ საგადასახადო დავალების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხებ სა-

კასაციონ წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა შპს „ა...“ დასკვნა და წერილი, ისე, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ამ კომპანიის უფლებამოსილებას, უკანასულ არჩევე გასული ტელეგადაცემების მონიტორინგი განეხორციელებინა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საიუსეტების შეთანხმებული გეგმის შესაბამისად გასვლის თაობაზე. მონიტორინგის დასკვნა ეხებოდა 45 დღეს, სააპელაციო სასამართლომ კი, 4 თვეზე გაავრცელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დავა არაგანსჯადმა სასამართლომ განიხილა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგნეს განსჯადი სასამართლოს პრინციპს. აღნიშნული კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე „„ მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონმებს მხარის მოთხოვ-

ნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო წებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამონებოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ, ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტი მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის არაგანსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე. აპელანტი ამტკიცებდა, რომ მოცემული საქმე სამოქალაქო კატეგორიისაა, რაზეც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადაცვოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმატულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირე-

ბით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საჯარი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 08.02.2012წ. №200 განკარგულებით, სახელმწიფო ებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სისი საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს დაევალა საქართველოს საინვესტიციო, ტურისტული და ღვინის ცნობადობის ამაღლების კუთხით, ამ განკარგულების №1 და №2 დანართებით გათვალისწინებულ უკრაინულ ტელეარხებზე სპეციალური პროგრამების მომზადებისა და ეთერში გასვლასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება შპს „...“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 1 732 517.64 აშშ დოლარის ფარგლებში. 08.02.2012 წელს სისი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს „...“ შორის საქართველოს მთავრობის 08.02.2012წ. №200 განკარგულების საფუძველზე დაიდო №4/02 ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებონა აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების

საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯაროსამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს თავის საქმიანობაში კერძოსამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65¹ მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ., სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვინისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება; ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ შპე „...“ და სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს შორის ხელშეკრულება დაიდო მთავრობის განკარგულების საფუძველზე, არ ანიჭებს მას ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსს.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში წარმოდგენი-

ლი მთავრობის განკარგულება და ხელშეკრულება. ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტის თანახმად, შპს „...“ ვალდებულია უზრუნველყოს საინფორმაციო-სარეკლამო სიუჟეტების დამზადება და მათი ტელეარხის ეთერში განთავსება თანდართული მედია-გეგმისა და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იმგვარად, რომ იგი პასუხობდეს უკრაინის მოქმედი კანონმდებლობით დაგენილ მოთხოვნებს (მათ შორის სიუჟეტების შინაარსიდან გამომდინარე ტრანსლინების დროსთან დაკავშირებულ შეზღუდვებს), სიუჟეტების კონცეფციებს, ქრონომეტრაჟს, ტელეარხის ტექნიკურ მოთხოვნებს, ამ ხელშეკრულების პირობებს. 4.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 1 732 517.65 აშშ დოლარით და იგი მოიცავდა კანონით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. ამავე პუნქტით დადგინდა, რომ მითითებული საერთო ღირებულებიდან 1 155 011.77 აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს სსიპ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ შპს „...“ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო დანარჩენი თანხა, 577 505.88 აშშ დოლარი – შესაბამისი ანგარიშების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ანგარიშ-ფაქტურების წარდგენის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ვერტიკალური იერარქია და სუბორდინაციის პრინციპის დაცვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომი ორგანოს ან აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების თანხმობის მოპოვების აუცილებლობა ხელშეკრულების დასადებად არ გამორიცხავს ამ ხელშეკრულების კერძო-სამართლებრივ ბუნებას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ხელშეკრულების შინაარსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არც მთავრობის განკარგულება და არც გაფორმებული ხელშეკრულება არ აღჭურავს შპს „...“ საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ხელშეკრულების დადების შედეგად არ წარმოიქმნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან საჯარო ქმედების (რეალაქტის) მოვალეობა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების და თანხის გადახდის ვალდებულება. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოშობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 08.02.2012 წელს სსიპ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და შპს

„...“ შორის დადებული ხელშეკრულება არის ნარდობის/მომსახურების ხელშეკრულება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემული სარჩელის ფარგლებში, სადაც განვითარებული მომსახურების საფასურისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტკებლოს გადახდა, ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულების უზრუნველყოფის მომწერიგებელი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ამდენად, სადაც სამართლურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალნარმოების წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ამასთან, საქმის განხილვისას, სასამართლომ, სამოქალაქო სამართალნარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოიკვლიოს და დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა

განხილვა

№ბს-531-526(გ-16)

11 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ 2014 წლის 23 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „ნ. კ-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის პირგასამტებლოს სახით 372248.24 (სამას სამოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდარვა)

ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის სარჩელი მოპასუხე შპს „ნ. კ-ის“ მიმართ პირგასამტებლოს გადახდის დაკისრების თაობაზე, განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა, რომ წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის პირგასამტებლოს გადახდის დაკისრებას. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, პირგასამტებლოს გადახდის ვალდებულება მოპასუხეს წარმოეშვა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობას და შპს „ნ. კ-ის“ შორის 2014 წლის 7 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებით, მოპასუხემ იყისრა ვალდებულება შეესრულებინა შეთანხმებული სამუშაო – ნაძალადევის რაიონში შეეკეთებინა გზები. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობას და შპს „ნ. კ-ს“ შორის დადებული ხელშეკრულებას, ანუ იგი არის სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება, თუმცა, აღნიშნული ხელშეკრულების დადების გზით ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა მიზნად ისახავდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას – საჯარო დანიშნულების გზების შეკეთებას. ამდენად, მისი დადების მიზანი იყო მოსარჩელის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. ამასთან, 2014 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების 5.2. პუნქტის მიხედვით, მენარდესთან ანგარიშსწორება გათვალისწინებული იქნა ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით სახეზეა მოსარჩელის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ივნისის განჩინებით მოსარჩელე ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის სასარჩელო განცხადება, მოპასუხე შპს „ნ. კ-ის“ მიმართ განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობასა და შპს „ნ. კ-ის“ შორის დადებული ხელშეკრულება წარდო-

ბის ხელშეკრულებაა და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს პირგასამტებლოს დაკისრება. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მსჯელობა მასზედ, რომ მხარეთა შორის დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და შესაბამისად, სარჩელი, განსჯადობის წესების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე და თვლის, რომ საქმე განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანაბმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგება, ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის სამუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ენინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს თავის საქმიანობაში კერძოსამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამო-

ქალაქო სამართლის სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები (სზაკ-ის 65¹ მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სზაკ-ის 25¹ მუხ., სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქოსამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო პირგასამტებლოს დაკისრება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ იკისრა ქალაქ თბილისში ნაძალდევის რაიონში გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ხელშეკრულების დადების შედეგად არ წარმოქმნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან საჯარო ქმედების (რეალაქტის) მოვალეობა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ნ. კ-ს“ ეკისრებოდა ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესრულების ვალდებულება, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიო-

ნის გამგეობის მიერ ეტაპობრივად მიწოდებული გრაფიკის მიხედვით. ამასთან, ადმინისტრაციულ ორგანოს ანგარიშსწორება უნდა მოეხდინა 2014 წლის ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნისა და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. დავის საგანს მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევის გამო ჰირგასამტებლოს დაკისრება. მოსარჩელე – ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე და 418-ე მუხლებს. ამდენად, სადაცვო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართლწარმოების წესით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებული სადაცვო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც თავისი ბუნებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით ნარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹-ე, 65¹-ე მუხლების საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დაგას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების დროს – 2014 წლის 7 აპრილს მოქმედი „ადგილობ-

რიცი თვითმმართველობის „შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება მიიღოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვის, მშენებლობისა და განვითარების უზრუნველყოფის საკითხზე გადაწყვეტილება თავისთავად არ ნიშნავს სადაც სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების პირობას. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის საგანს არ წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რომელიც წინ უძლვოდა 2014 წლის 7 აპრილის №1.1.9/30/022 ხელშეკრულების დადებას. დავის საგანს ტენდერის შედეგად 2014 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის პირგასამტებლოს თანხის – 372248.24 ლარის დაკისრება. ამდენად, ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალნარმობის წესით განხილვის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. აღნიშნულის გამო, სასკ-ის 26-ე მუხლის იმპერატიული დანანგესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი წარდგენილია განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსჯადობის წესის დაცვით წარდგენილი სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, რის გამოც საქმე განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის სარჩელი მოპასუხე შპს „ნ. კ-ს“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კერძოსამართლებრივი ხასიათის დაცის განსჯადობა

განხილვა

№ბს-853-845 (გ-15)

03 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შპს „...“ სასამართლო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დაგა.

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ჯ-მ“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.10.2014 წ. № 10.08.100 განკარგულების და მის საფუძველზე გამოცემული სსიპ ქონების მართვის სააგენტოს №QN1254744 გადაწყვეტილების ბათოლად ცნობის და მოპასუხებისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტის გამოცემის დაგალების მოთხოვნით.

მოსარჩევემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მთავრობის 15.01.2013წ. დადგენილების საფუძველზე შპს „მ-ის“ იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა ქ.თბილისში, ... ქ. №7-ში მდებარე შენობის მე-14 სართულზე არსებულ 284,92 კვ.მ. ფართი. შპს „მ-სა“ და შპს „ჯ-ს“ შორის დადგებული შეთანხმების თანახმად, შპს „მ-ს“ მიერ იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებამოვალეობები თავის თავზე აიღო შპს „ჯ-მ“. მოსარჩევე საიჯარო საგანს 8 თვის განმავლობაში ფლობდა, რა დროსაც იხდიდა საიჯარო ქირის და ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.10.2014წ. განკარგულების საფუძველზე ქონების მართვის სააგენტოს მიერ დადგებული ხელშეკრულება შეწყდა. მითითებული განკარგულებით შპს „ჯ-ს“ დაევალა იჯარის შეწყვეტამდე პერიოდის სარგებლის საფასურის – 2072 ლარის და საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის გამო დარიცხული პირგასამტკებლოს – 1022 ლარის გადახდა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისთვის თანხის გადახდის დაკისრება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს შპს-ს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.11.2015წ. განჩინებით შპს „ჯ-ს“ სარჩელი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 251.2 მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართლწარმოების წესით. განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტები გამოცემულია შპს „ჯ-ს“ მიერ საიჯარო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, ამდენად, დავა დაკავშირებულია კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების შეწყვეტასთან. სადავო აქტები არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, მათში ასახულია მხოლოდ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული სამოქალაქოსამართლებრივი წება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. სასამართლომ ზაკ-ის 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 65.1 მუხლის მე-2 ნინადადების და ასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე

აღნიშნა, რომ დავა გამომდინარეობს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან, რის გამოც დავა განსახილველად სამოქა-ლაქო საქმეთა კოლეგიას უნდა გადაეცეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.11.2015წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დაის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 3.2 მუხლზე, ასე-ის მე-2, მე-11 მუხლებზე და მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადია, რადგან გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასამართლომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 50-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის და ზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე აღნიშნა, რომ სადავო სამართალუროთიერთობის მონაწილე სუბიექტები – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა და სსიპ ქონების მართვის სააგენტო ადმინისტრაციული ორგანოები არიან, რომელთაც მინიჭებული აქვთ საჯარო უფლებამოსილება გამოსცემი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ამდენად, მოპასუხეებმა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც მოსარჩელეს დააკისრეს საიჯარო ქირისა და პირგასამტებლოს გადახდა, რადროსაც იხელმძღვანელეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სსე-ის მე-3 მუხლის საფუძვლზე მიუთითა, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელის უმთავრესი უფლებაა განსაზღვროს დავის საგანი. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ ასაჩივრებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ითხოვს მათ ბათილად ცნობას და მოპასუხეთათვის ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალებას, მოთხოვნის ტრანსფორმირება ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით დაეის საგნიდან გამომდინარე სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მოკლებულია მიმდინარე დავის განხილვის სამართლებრივ შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასე-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტის რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „ჯის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

კომპეტენციის გამიჯვნის პიზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით სზაკ-ის 2.1 მუხლი იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურო რთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (იხ. სუს 11.09.2014 წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადაც აქტების გამოცემის საფუძვლებს, სამართალურო ერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძოსამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად (იხ. სუს დიდი პალატის 10.07.2007წ. განჩინება საქმეზე №ბს-132-123(კ-07)). განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.10.2014წ. №10.08.100 განკარგულებით შპს „ჯ-ის“ გადასახდელად განესაზღვრა ფართის სარგებლობის საფასური და ქირის გადახდის ვადის დარღვევის გამო დარიცხული პირგასამტებლო. განკარგულებით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა აქტის გამოცემა, რომლითაც მოხდება შპს „ჯ-ს“ რიცხული დავალიანების გადახდის მოთხოვნა. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 14.10.14წ. გამოიცა №QN1254744 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ჯ-ს“ დაევალა მასზე რიცხული დავალიანების გადახდის უზრუნველყოფა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოება-

ზე, რომ დავის საგანს შეადგენს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ამჟამად მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.12.2014წ. №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ 12.1 მუხლისა და სადაცო აქტის გამოცემის დროს მოქმედი ქ. თბილისის საკრებულოს 27.08.2010წ. №9-65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ 12.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. ქ.თბილისის მთავრობის 15.01.2013წ. №02.30.42 დადგენილების მე-2 პუნქტი შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ საიჯარო პირობები განისაზღვრება დანართით. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 30.01.2013წ. №QN1102507 გადაწყვეტილებით იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სამი წლის ვადით შპს „მ-ს...“ გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. №7-ში მდებარე შენობის მე-14 სართულის ნაწილი – 284,92 კვ.მ. ფართი. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება გათანაბრებულია ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები. შესაბამისად, საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის, ქირის გადახდის საკითხთან დაკავშირებულ სადაცო სამართალურთიერთობას კერძოსამართლებრივი ბუნება აქვს და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უხდა იქნეს გადაწყვეტილი.

ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური უძრავი ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადაცო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძოსამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკ

რულება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღ-
ქურვილი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით. ამდე-
ნად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივ
ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სა-
მოქალაქო სამართლნარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაცი-
ული ხელშეკრულების დადგებასთან, შესრულებასთან და შეწ-
ყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასა-
მართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართლნარმოების წე-
სით (სასკ-ის 25¹ მუხ., სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯაროსამარ-
თლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯ-
ვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულე-
ბის მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს.
ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1
მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელ-
შეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციე-
ლების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განი-
საზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელ-
შეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელ-
შეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვა-
ლეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე
№31-27(ქ-13)). იჯარის ხელშეკრულების პირობების 13.1.2 პუნ-
ქტის მიხედვით იჯარის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს
ცალმხრივად, საიჯარო პირობების 10.4 პუნქტით გათვალისწი-
ნებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრუ-
ლების 10.4 პუნქტის მიხედვით, საიჯარო პირობების შეუსრუ-
ლებლობა, პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელო-
ბა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვე-
ლია. შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ
ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სადავო 08.10.2014წ.
№10.08.100 განკარგულებით მოახდინა მისი კერძოსამართლებ-
რივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლების რეალიზაცია
და ცალმხრივად შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება და შპს-ს
მოსთხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქი-
რის, პირგასამტეხლოს ანაზღაურება. ამდენად, მართალია სა-
დავო განკარგულება ფორმალურად ინდივიდუალური ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტებს შეიცავს („ად-
გილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61.3 მუხლის „ბ“
ქვეპუნქტის თანახმად, განკარგულება წარმოადგენს ინდივი-
დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს), თუმცა მნიშ-
ვნელოვანია არა აქტის ფორმალური მხარე, არამედ მისი შინა-
არსი და გამოცემის საფუძვლები. სადავო აქტების გამოცემით

მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს არ მოუხდენიათ ად-
მინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებუ-
ლი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელე-
ბა, მათ მოახდინეს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან
წარმოშობილი თავისი უფლებების რეალიზაცია და გამოხატეს
ხელშეკრულების შენცყვეტისა და ანაზღაურების მიღების ნება.
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შპს „ჯ-სგან“ საიჯარო
ქირის დავალიანებისა და პირგასამტებლოს ანაზღაურების მოთ-
ხოვნა არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემ-
დებარეობითი ურთიერთობის არსებობას, ორგანო შპს-სგან მო-
ითხოვს ვალდებულების შესრულებას როგორც საიჯარო ხელ-
შეკრულების კრედიტორი და არა, როგორც საჯარო უფლება-
მოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტი.

დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას
არ ადასტურებს ამჟამად მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალი-
ტეტის საერებულოს 22.12.2014წ. №19-78 დადგენილებით დამ-
ტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არ-
სებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ 4.3
მუხლის დებულება, რომელშიც სააგენტოს გადაწყვეტილება
ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ მოხსე-
ნიებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ
აქტად. აღნიშნული ნორმა იმავდროულად შეიცავს დებულებას
ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწ-
ყვეტილების უზუფრუქტის, აღნავობის, ქირავნობის, იჯარის,
თხოვებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვა-
ლისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით ქონების გადაცე-
მის შესახებ ხელშეკრულებასთან გათანაბრების შესახებ, ანა-
ლოგიური შინაარსის დებულებას შეიცავდა სადაც პერიოდში
მოქმედი ქ. თბილისის საერებულოს 27.08.2010წ. №9-65 გადაწ-
ყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ადგილობრივი თვით-
მმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარ-
გებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-4 მუხლი. ამასთანა-
ვე მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში
დავის საგანს არ შეადგენს სარგებლობაში ქონების გადაცემა
ან შეწყვეტა. სასარჩელო განცხადებისა და ქ. თბილისის მუნი-
ციპალიტეტის მთავრობის 08.10.2014წ. №10.08.100 განკარგუ-
ლების ტექსტის თანახმად, შპს „ჯ-ს“ წარმომადგენელმა გან-
ცხადებით მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, ზედ-
მეტად გადახდილი საიჯარო ქირის თანხის დაბრუნება. აღნიშ-
ნულის საპირისპიროდ, მოპასუხები თვლიან, რომ მოიჯარემ
უნდა გადაიხადოს სარგებლობის საფასური და ქირის გადახ-

დის ვადის დარღვევის გამო პირგასამტებლო. ამდენად, დავა ეხება საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართით სარგებლობის საფასუროს – ქირის გადახდის, გადახდის ვადის დაცულობის და შესაბამისად პირგასამტებლოს გადახდის დაკისრების საკითხებს, რაც დამატებით ადასტურებს დავის კერძოსამართლებრივ ხასიათს.

განსახილველი დავის შინაარსს არ ცვლის ის გარემობა, რომ მოსარჩელე სადაცო აქტის გაუქმებას ითხოვს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარის მოსაზრებები, კერძოსამართლებრივი უფლების დასაბუთება საჯარო კანონმდებლობის დებულებების საფუძველზე არ ცვლის დავის განსჯადობას და არ იწვევს თავისი არსით კერძოსამართლებრივი დავის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე განხილვის საჭიროებას. განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისა შინაგანი ბუნება და არა მოსარჩელის მოსაზრება, მოსარჩელე განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას, განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის. დავის განსჯადობას არ ცვლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.10.2014წ. №10.08.100 განკარგულების მითითება განკარგულების თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩინოების შესახებ. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართლანარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის გამომრიცხავ გარემოებას (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება №ბს-31-27(კ-13) საქმეზე).

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. სასამართლო, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უსწოროა. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ordre public) შემადგენელ ნაწილად. ამდენად, დაუსაბუთებელია სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარის სასარჩელო მოთხოვნის

ფორმულირების და სარჩელში ასახული სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით, დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის განსჯადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხ.). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შესაბამისად, მის შეუსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დადგინდება:

1. შპს „...“ სარჩელი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

**ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში საქმის
განხილვა აღმინისტრაციული
სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის
მიხედვით**

განხილვა

№ბს-516-511(გ-16) 22 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 3 ივნისს პ. ფ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი №ათ0000270888 აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 18 მაისის №20/12-1709 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 ივნისის განჩინებით პ. ფ-ას სარჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 ივნისის დადგენილებით პ. ფ-ას საჩივრარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმინისტრაციული სამართალდარ-

ლვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. ამავე კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს №ათ 0000270888 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შესაბამისად, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშურის რაიონი, დაბა გომის მიმდებარე ტერიტორია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ხაშურის, ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბ. ფ-ას საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან, ხოლო 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ამდენად, ამ კატეგორიის საქმეთა წარმოებისას ასევე გამოიყენება საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: საჩივრის ავტორი – ბ. ფ-ა, მონინააღმდეგე მხარე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №... . ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის ნესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩევეს.

საჩივრის ავტორმა, ბ. ფ-ამ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილეველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ ხაშურის რაიონულ-მა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან,

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატიფით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი №ათ0000270888 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 18 მაისის №20/12-1709 დადგენილების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქ-

მი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო სამართალდამრღვევის – ბ. ფ-ას საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №.... .

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმებისა, რომლებსაც განიხილავთ თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 116-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 116-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 116-ე მუხლი, ხოლო ბ. ფ-ას საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი და მან საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ბ. ფ-ამ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-

2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. ფ-ას საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-ტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯა-დობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალა-ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბო-ლოოა და არ საჩივრდება.

აღტერთატიული გაცემადობის შემთხვევაში საქმის განცილება აღმინისტრაციული სამართალდამრღვევის საცხოვრებელი აღგილის მიხედვით

განცილება

№ბს-442-437 (გ-16)

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა გ. ც-ის სარჩელთან
დაკავშირებით წარმომობილი დავა განსჯადობის შესახებ თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ც-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა, რომლითაც მოით-

ხოვა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 14 აპრილის დადგენილების და მართვის უფლების შეჩერების შესახებ №ათ000026709 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაზ 2016 წლის 19 მაისის დადგენილებით საქმე განსჯადობით განსახილველად ხაშურის რაიონულ სასამართლოს გადაუგზავნა.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი იყო ხაშურის რაიონი, ამდენად, მოცემული დავა ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი იყო.

ხაშურის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ დადგენილებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულია ალტერნატიული განსჯადობა. მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად, მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიზიფებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ გ. ც-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამზ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი (ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული წორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპ-

როცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონის – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. ალნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ც-ს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ... გამზ. 12ა პ. 36.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივრი წარადგინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხამურის რაიონულ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გ. ც-ის სა-ჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

დაადგინ:

1. გ. ც-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღტერნატიული გაცემადობის შემთხვევაში საჭირო განხილვა მოსარჩევის არჩევანის შესაბამისად

განხილვა

№ბს-478-473 (გ-16)

27 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...-ს“ სარჩევლთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „....-მ“ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელით მიმართა. მოსარჩელებ მოითხოვა მოპასუხებისათვის შპს „....-ს“ მიერ 2008 წლის 29 მაისს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2900 ლარის 70%-ის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 25 აპრილს შპს „....-მ“ სარჩელი აღძრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის, მ. ღ-ის და სხვათა მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერების, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. სარჩელს ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდის ქვითარი. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 მაისის განჩინებით შპს „....-ს“ დაევალა დამატებით 2900 ლარის გადახდა. შპს „....-მ“ ხარვეზი 2008 წლის 29 მაისს გამოასწორა. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 სექტემბრის განჩინებით შპს „....-ს“ სარჩელზე ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა. ამავე განჩინებით ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა გამოიყო ცალკე წარმოებად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით შპს „....-ს“ სარჩელი განუხილველად დარჩა. სასამართლოს არ უმსჯელია გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაპრუნების საკითხზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მაისის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაევზავნა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სოლიდარულ მოპასუხედ მითითება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც უკავშირდებოდა მოსარჩელე მხარის იმ მიზანს, რომ საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადობის ფარგლებში მოქცეულიყო, რაც ვერ შეცვლის დავის განსჯადობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებას და წამოიწყო დაგა ტერიტორიული განსჯადობის შესახებ.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის მე-15 და მე-20 მუხლებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩევემ სოლიდარულ მოპასუხებად დაასახელა ხელ-ვაჩაურის რაიონული სასამართლო, სსიპ საერთო სასამართლო-ების დეპარტამენტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მოსარჩევემ ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედ-ვით წარადგინა სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო მდებარეობს ქალაქ ბათუმში. სასამართლომ განმარტა, რომ თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერი-ტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამარ-თლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვ-ნული საპროცესო უფლებაა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამარ-თლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩ-ნევს, რომ შპს „...-ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოი-ყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მო-პასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იური-დიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასა-მართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი თავისი ხასია-თით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და ამა-ვე დროს იმპერატიული ნორმა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო სასამართლოს ტერი-ტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედ-

ვით.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...-მ“ სოლიდარულ მოპასუხებად დაასახელა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, სისიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ერთ-ერთი მოპასუხის – ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით წარადგინა სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

საკავაციო სასამართლო არ იზიარებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მტკიცებას, რომ მოსარჩელის მიერ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს სოლიდარულ მოპასუხედ მითითება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც უკავშირდებოდა მოსარჩელე მხარის იმ მიზანს, რომ საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს განსჯადობის ფარგლებში მოქცეულიყო, რაც ვერ შეცვლის დავის განსჯადობას.

საკავაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში მოქმედებს დისპოზიციურობის პრინციპი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავნ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. აღნიშნული წორმის საფუძველზე, სწორედ მოსარჩელე განსაზღვრავს დავის საგანს და მოპასუხეთა წრეს. მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლი სასამართლოს ფართო უფლება-მოსილებას ანიჭებს სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებას-თან მიმართებით, მაგრამ ამგვარი უფლებამოსილება, არ გულისხმობს მხარის მიერ მის მოთხოვნაზე პასუხისმგებელ სუბიექტად დასახელებული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით „ფორმალურ მოპასუხედ“ მიჩნევას და საქმიდან ამორიცხვის შესაძლებლობას. ვინაიდან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სპეციალური ქცევის წესი გათვალისწინებული არ არის, სასამართლომ

უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით, რომელიც ადგენს არასათანადო მოპასუხის შეცვლის წესს, აგრეთვე, ქცევის წესს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოსარჩელე უარს ამბობს მოპასუხის შეცვლაზე. საკასაციო სა-სამართლო აქვე ხაზს უსვამს, რომ მოსარჩელის მოთხოვნაა სა-ხელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის დაბრუნება, რის თა-ობაზეც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის შე-საბამისად (2009 წლის ივლისის მდგომარეობით), სასამართლოს სარჩელის განუხილველად დატოვებისას უნდა ემსჯელა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სა-სამართლოს განმარტებას, რომ, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებუ-ლი რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფ-ლებაა.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარადგინა სარჩელი ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. სამოქა-ლაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, გან-სჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი დავა ბათუმის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის მე-15, მე-20 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...-ს“ სარჩელი განსჯადობით დაექვემდებაროს ბა-თუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

**ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში საქმის
განხილვა აღმინისტრაციული
სამართალდამრჩვის საცხოვრებელი აღგილის
მიხედვით**

განხილვა

№ბს-611-605(გ-16)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 18 აპრილს ს. უ-ამ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 4 აპრილის №830709 დადგენილების ბათილად ცნობა და აღმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 მაისის განჩინებით ს. უ-ას საჩივრი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს

განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კო-დექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზ-ლვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამო-რიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა სამართალწარმოების წე-სით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებული წესი და ვა-და დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 261-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული საკა-ნონმდებლო აქტის 272.1 მუხლით, ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დად-გენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილ-ზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გა-საჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. ამავე კოდექ-სის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159²-159³ მუხლებით გათვალისწინებული ადმი-ნისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოე-ბეზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადაც დადგენილება 2016 წლის 20 მარტის №ეი084452 სამართალდარღვევის ოქმის ძალაში დატოვების თაობაზე მიღებულია საქართველოს შინა-გან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტა-მენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ, რომე-ლიც მდებარეობს ქ. გორში, სამართალდარღვევა ჩადენილია ში-და ქართლის რეგიონში, ქ. ქარელში. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. უ-ას საჩივარი საპატრულო პოლიციის დეპარ-ტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს დადგენი-ლების გაუქმების თაობაზე, ტერიტორიული განსჯადობის გათ-ვალისწინებით უნდა გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს – გორის საქალაქო სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის დად-გენილებით მოცემული საქმე განსჯადობით გადაიგზავნა ქა-რელის მაგისტრატ სასამართლოში სავარაუდო სამართალდარ-

ლვევის ფაქტის ჩადენის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^o-159^o მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. უ-ას მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ელექტრონული საჯარიმო ქვითარი) შედგენილია ქარელის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც არ შედის გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ხოლო ს. უ-ა ცხოვრობს ქ. თბილისში, შესაბამისად, მოცემული საქმე არ წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლოს განსჯადს არც ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის საცხოვრებელი და არც სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით.

ქარელის მაგისტრი სასამართლოს 2016 წლის 6 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე: საჩივრის ავტორი – ს. უ-ა, მონინაალმდეგე მხარე – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, განსჯადობის შესახებ დავის გადა-საწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159^o-159^o მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ად-

მინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. თბილისი, ... ქ. №16. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ქარელის მაგისტრი და თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმერამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩევეს.

საჩივრის ავტორმა, ს. უ-ამ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქარელის მაგისტრატ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა განჩინებების კანონიერება-დასა-ბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცე-მული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდე-ბაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქარელის მაგისტრატ-მა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე-თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარ-ჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მი-თითებული ნორმის 1-ლი წანილის თანახმად, სარჩელი უნდა წა-რედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განი-ხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 წანილის თანახმად, არაგანსჯად სასამარ-თლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარ-ჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოი-ყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესე-ბი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირე-ბულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი წანილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წა-რედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამ-დენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზ-დღვრავს და ერთნაირად ვრცელდება წებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წე-სია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვე-ვაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სა-

მოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცველა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატიცით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საჯარიმო ქვითარი, რომელსაც ასევე სადაც და დღის საჩივრის ავტორი, შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ქარელის მუხიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხოლო სამართალდამრღვევის – ს. უ-ას საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ... ქ. № 16.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵–159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა საქმები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 121-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 121-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 121-ე მუხლი, ხოლო ს. უ-ას საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი და მან საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქარელის მაგისტრატი სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ს. უ-ამ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. უ-ას საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის
საქმეებთან დაკავშირებით ფერიტორიული
განსჯადობის საეციალური წესი**

განჩინება

№ბს-810-802 (გ-15)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, გა-
ნიხილა ი/მ ბ. ო-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა, მოპასუხე
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობის
თაობაზე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიასა და თელავის რაიონულ სასამართლოს
მორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ი/მ ბ. ო-მა 18.08.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხე სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიმართ სსიპ სურ-
სათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართვე-
ლოს 24.06.2015წ. №005026 ადმინისტრაციული სამართალდარ-
ღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის), სსიპ სურსათის ეროვნული
სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს 24.06.2015წ.
№11-57 დოკუმენტური შემოწმების აქტისა და სსიპ სურსათის
ეროვნული სააგენტოს 16.07.2015წ. №236-9 ბრძანების ბათი-
ლად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 24.08.2015წ. განჩინებით საქმე განსახილველად
განსჯადობით გადაეგზიავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 1.2,
სსკ-ის 15.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს სარჩე-
ლი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედ-

ვით, ხოლო იურიდიული პირის მიმართ – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს ადმინისტრაციული ორგანო. განსახილველ შემთხვევაში სადაცოა, როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამართველოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ასევე სურსათის ეროვნული სააგენტოს 16.07.2015 წ. №236-9 ბრძანების კანონიერება, თუმცა ხსენებული აქტი – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, მიღებულია სიიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამართველოს მიერ 24.06.2015 წ. შედგენილი ადმინისტრაციული სამართლდარღვევის №005026 ოქმის (საჯარიმ ქვითრის) და იმავე ადმინისტრაციული ორგანოს №11-57 დოკუმენტური შემოწმების აქტის გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარზე. შესაბამისად, დაგის საგნის შეფასება უნდა მოხდეს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – კახეთის რეგიონული სამართველოს ქმედების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებასთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ი/მ პ. ო-ის სარჩელი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სიიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამართველო, რომლის მისამართია: თელავი, ალაზნის გამზირი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თავად მოსარჩელის იურიდიული მისამართიც ახმეტის მუნიციპალიტეტია.

თელავის რაიონული სასამართლოს 16.10.2015 წ. განჩინებით ი/მ პ. ო-ის სარჩელი მოპასუხე სიიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სსკ-ის 15.1 მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელზე მოპასუხეა სიიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომლის ადგილსამყოფელი მდებარეობს არა ქ. თელავში, არამედ ქ. თბილისში (მის: მარშალ გელოვანის გამზირი №6). თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 14.01.2011 წ. №2-3 ბრძანებით დამტკიცებული „სიიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების“ თანახმად, სურსათის ეროვნული სააგენტო არის საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „სურსათის უკრნებლობისა და ხარისხის შესახებ“ კანონის საფუძველზე, სააგენტო შედგება ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანიზაციისგან, რომელიც ქმნიან სააგენტოს ერთიან ცენტრალურიზებულ სისტემას (დებულების მე-4 მუხ.), სამმართველოს კომპეტენცია დამატებით განერილია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის და რეგიონული სამმართველოს დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს უფროსი (დებულების მე-3 მუხ.). სასამართლომ მიიჩნია, რომ კახეთის რეგიონული სამმართველო, ვალდებულია მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი), ხოლო ასეთი ოქმის კანონიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ვინაიდან სამმართველო, როგორც ცენტრალურიზებული სისტემის ნაწილი, დამოუკიდებლად არ გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ი/ზ ბ. ო-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უზდა დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერი-

ტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დაგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, ი/მ ბ. ო-მა სარჩელი აღძრა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს 24.06.2015წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №005026 ოქმის (საჯარიმო ქვითრის), სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს 24.06.2015წ. №11-57 დოკუმენტური შემოწმების აქტისა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 16.07.2015წ. №236-9 ბრძანების ბათილდა ცნობის მოთხოვნით. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს მიერ მოსარჩელე დაჯარიმდა 500 ლარით სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 74² მუხლის საფუძველზე მომხმარებლისთვის მისაწოდებლად გადაგასული სურსათის ბაზარზე განთავსების გამო. კახეთის რეგიონული სამმართველოს ზემდგომმა ორგანომ – სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მართლზომიერად მიიჩნია ი/მ ბ. ო-ისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება და 16.07.2015წ. ბრძანებით მისი ადმინისტრაციული საჩივარი არ დააკმაყოფილა.

სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ხდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით (1.1 მუხ.), რომლის 63.1 მუხლის მიხედვით პირის პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს ადმინის-

ტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. განსახილველ შემთხვევაში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით, ამდენად გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისის არსებობა არ დასტურდება, ამასთანავე, საქმის მასალებით უდავოდ დგინდება, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქ. ახმეტაში, შესაბამისად, დავა ტერიტორიულად თელავის რაიონული სასამართლოს ქვემდებარეა.

განსჯადობის საკითხს არ ცვლის ის გარემოება, რომ ი/მ ბ.ო-ი ასაჩივრებს აგრეთვე სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს 16.07.2015 წ. №236-9 ბრძანებას, რომლითაც ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული აქტის უცვლელად დატოვება, იწვევს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით, რომლის კანონიერება დადასტურდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვით. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის, ხოლო საჩივრის ავტორისათვის – მისი უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამონმებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, გასაჩივრებული აქტის კანონიერებას. მოცემულ შემთხვევაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს სადავო აქტით არ მიუღია ახალი, სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამართველოს სპეციალისტის გადაწყვეტილებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება, მას არ შეუტანია რაიმე ცვლილება გასაჩივრებულ აქტში, ამდენად, სააგენტოს არ მიუღია არსებითი გადაწყვეტილება,

თავისი აქტით მან დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოტანილი აქტის მართლზომიერება. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურის შედეგად მიღებული აქტი, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული აქტი, არ შეიცავს სადაც სამართალურთობის რაიმე ახალ რეგულაციას, ასეთ პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადაც სამართალურთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობის გადაწყვეტას ერთიანი სისტემის ქვედა რგოლის ანუ თავდაპირველი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით. მიუხედავდა იმისა, რომ დავაში მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული სამივე სადაც აქტი ერთი და იგივე სამართალურთოერთობას ხეხბა, სადაც აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოები სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქვედა და ზედა რგოლის ორგანოებია. უწყების იერაქიული სტრუქტურა, ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარება ზემდგომისადმი, უკანასკნელის მიერ ქვემდგომის გადამოწმების შესაძლებლობა არ იწვევს მექანიკურად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის სასამართლო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმასაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატორულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ ბ. ო-ის სარჩელი თელავის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებითა და:

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი/ზ პ. ო-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექმდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ალტერნატიული გაცემადობის შემთხვევაში საქმის განხილვა აღმინისტრაციული სამართალდამრღვევის საცხოვრებელი აღგილის მიხედვით

განხილვა

№ბს-643-636(გ-16)

3 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა პ. ტ-ის საჩივართან დაკავშირებით დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ტ-ემ 27.07.2016 წ. საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართვე-

ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე 26.07.2016წ. შედგენილი №აბ 000244068 საჯარიშო ქვითრის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.07.2016წ. განჩინებით საქმე განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განსახილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლები პირველი ინსტანციით განიხილავნ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშიც არის სამართალდარღვევა ჩადენილი და საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადასცა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 05.08.2016წ. განჩინებით პ. ტ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით, გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი – საჯარიმო ქვითარი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შედგენილია 27.07.2016წ., ქ. გორში, ხოლო სამართალდარღვევის ჩადენისა და საჯარიმო ქვითრის შედგენის ადგილია ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, დაბა აგარა, სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილია – ქ. თბილისი. ასკ-ის 1.2 მუხლზე და სსკ-ის მე-20 მუხლზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მისი არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. შესაბამისად, საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ პ. ტ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტოს სასამართლოთა შორის განსჯა-

დობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლო-ებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგ-ნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის გან-სჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამარ-თლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერი-ტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კა-ტეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვ-ნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერი-ტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტე-რიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გა-დაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთი-ერთობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 1-ლი მუხ-ლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესები. სსკ-ის III თავის (განსჯადობა) მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირ-ველი ნაწილი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზ-ლვრელ საპროცესო ნორმას, რომლის მიხედვით სარჩელი წა-რედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერ-თნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვე-ვისა, როდესაც კანონმდებლობით განსხვავებული წესია დად-გენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მი-ხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლში 26.04.126. კანონით შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვა-ლისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის, ასევე, ამავე კოდექსის საფუძველზე შედგე-ნილი ოქმის კანონიერების შესახებ საქმეებს სასამართლო ინი-ლავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაცი-ულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლე-ბის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე-ზე ორგანოს (თანამდებობის პირის) აქტი შეიძლება გასაჩივრდეს

რაიონის (ქალაქის) სასამართლოში ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრით. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, კანონმდებლობა 121-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას (სამართლდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხ.), კერძოდ, 121-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვინაიდან გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121.4 მუხლი, ხოლო პ. ტ.-ის საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი და საჩივარი შეტანილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პ. ტ.-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში საქმის
განხილვა აღმინისტრაციული
სამართალდამრღვევის საცხოვრებელი აღგილის
მიხედვით**

განხილვა

№ბს-642-635 (გ-16)

6 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
ნ. სხირტლაძე

საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ვ. ე-ისა და კ. ფ-ს სარ-
ჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შე-
სახელ თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შო-
რის.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ე-მა და კ. ფ-მ 2016 წლის 29 ივნისს საჩივრით მიმართეს
თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქარ-
თლის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხო-
ვეს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის
მთავარი სამმართველოს 2016 წლის 18 ივნისის №20/24-1784410
დადგენილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით ვ. ე-
ისა და კ. ფ-ს საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგ-
ზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, აღმინისტრაციულ სამართალ-
დარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძ-
ველზე, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი იყო ხაშურის რა-
იონი, ამდენად, მოცემული დავა ხაშურის რაიონული სასამარ-

თლოს განსჯადი იყო.

ხაშურის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ დადგენილებას და წამონები დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებულია ალ-ტერნატიული განსჯადობა. საჩივრის ავტორებმა გამოიყენეს კანონით მათთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩინენით მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლება-მოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძვლზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. ე-ისა და კ. ფ-ს საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის ნარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა ნარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც ინვეცს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის

განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-ე-159⁹-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ვ. ე-სა და კ. ფ-ს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის საფუძველზე აქვთ დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საჩივრის ავტორების საცხოვრებელი ადგილია: ვ. ე-ის – ქ. თბილისი, ..., მე-... კორპ. ბ. №... და კ. ფ-ს – ქ. თბილისი, ...-ის ქ. № 14.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეუფლება მოსარჩევებს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონულ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევარის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვ. ე-ისა და კ. ფ-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ე-ისა და კ. ფ-ს საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციულ სამართალდაზღვაოთა საქმის აღტერნატიციული განსჯადობა

განხილვა

№ბს-919-911(გ-16)

27 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა გ. კ-ის სარჩელთან დაკავშირდებით წარმომობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ქარელის მაგისტრ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-მა 2016 წლის 6 ოქტომბერს საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 28 სექტემბრის №20/24-2440636

დადგენილებისა და 2016 წლის 5 სექტემბრის ადმინისტრაციული სამართლდარღვევის №508330 ოქმის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით გ. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – ქარელის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაც გამხდარი 2016 წლის 5 სექტემბრის ადმინისტრაციული სამართლდარღვევის №ეი508330 ოქმსა და საჯარიმო ქვითარების ოქმის შედგენისა და სამართლდარღვევის ჩადენის ადგილად მითითებულია ქარელი. ამასთან, სასამართლოს მიერ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მოძიებული ინფორმაციის თანახმად, საჩივრის ავტორის – გ. კ-ის აქტიურ საცხოვრებელ მისამართს ნარმოადგენს სამტრედია, ... გამზ. №48.

ქარელის მაგისტრი სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ დადგენილებას და წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართლდარღვევის ოქმი – საჯარიმო ქვითარი, რომლის გაუქმებასაც ითხოვს საჩივრის ავტორი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე. სამართლდარღვევის ჩადენის ადგილია ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართლდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. თბილისი, ... ქ. №24. სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორმა გ. კ-მა განმარტა, რომ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილია თბილისი, ... ქ. №24, ხოლო სამტრედიაში ... ქ. №48-ში არსებული სახლი გაყიდეს სამი წლის წინ ოჯახური მდგომარეობის გამო და საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. თბილისში. მართალია მისი რეგისტრაციის ადგილი არის სამტრედია, მაგრამ რამიერ კავშირი სამტრედიასთან აღარ აქვს და ცხოვრობს თბილისში, ... ქ. №24-ში, სადაც იღებს ყველა კორესპონდენციას, რის გამოც საჩივარი შეიტანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამდენად, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ქარელის მაგისტრი სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო გ. კ-მა გამოიყენა საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სასამართლოს არჩევის უფლება და დავის გადა-

საწყვეტად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ მოცემული საპროცესო მოქმედების განხორციელების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და ქარელის მაგისტრი სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, მიჩნევს, რომ გ. კ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგავარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 1595-ე–1599-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მი-

ხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. კ-ს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ... ქ. №24.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის აღტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩევეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქარელის მაგისტრ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გ. კ-ის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. კ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საქმის წარმოების განახლების თაობაზე გაცესადების შეტანის განსჯადობა

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების შესახებ გაცესადების
განსჯადობა**

განჩინება

№ბ-59-1 (ა-12)

30 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდუ-
რის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ლ-მა 10.11.046. სარჩელით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 05.11.046. №01/03-01/513 ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით დამატებით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 01.02.056. გადაწყვეტილებით გ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 05.11.046. №01/03-01/513 ბრძანება გ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ნაწილში, გ. ლ-ი აღდგენილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე და აუნაზღაურდა განაცდური დროის ხელფასი, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ გ. ლ-ის მოთხოვნას უარი ეთქვა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაასაჩივრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-

თლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 06.09.056. გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის კრნანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 01.02.056. გადაწყვეტილება და საპელაციო პალატის მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.03.2006 წ. განჩინებით გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 06.09.056. გადაწყვეტილება.

16.01.2013 წ. საქართველოს უზენაეს სასაართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მომართა გ. ლ-მა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.03.2006 წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გ. ლ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიღწევს, რომ წარმოდგენილი განცხადება უნდა დარჩეს განუხილველად შემდევ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20.03.2006 წ. განჩინების გაუქმებას.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, რადგან უზენაესი სასამართლოს 20.03.06 წ. განჩინებით უცვლელად დარჩა საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლო მიჩნევს, რომ გ. ლ-ის განცხადება განჩინების გაუქმების შესახებ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, არამედ თბილისის

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის შესახებ განცხადების განსაჯადობა

განხილვა

№ბ-1238-7(ა-16)

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ვ. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამონება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. წ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ადმინისტრაციული საქმე №ბს-1428-1003(კ-05) ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაზე ა. წ-ის საკასაციო საჩივრით განსახილველად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ა. წ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ქუთაისის მიწის მართვის სამმართველოს დაევალა ქ. ქუთაისში, ... გამზ. №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და ქ. ქუთაისში, ... გამზ. №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. წ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება ა. წ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. წ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... გამზ. №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ... ქ. №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. წ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის განჩინებით ა. წ-ისა და შპს „...“ საკავაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუპრონდა და იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მთავრობისა და შპს „...“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ა. წ-ის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ა. წ-ის სახელზე გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ. ქუთაისში, ... ქ. №9-ში მდებარე მუნიციპალურ საწარმო „...“ დამგრებული მიწის ნაკვეთი, ფართით 1146,10 კვ.მ და ქ. ქუთაისში, ... გამზ. №50ა-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე დამაგრებული მიწის ნაკვ-

ვეთი – 1752,90 კვ.მ, ხოლო დანარჩენი ფართის რეგისტრაციაზე მას უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო; შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ. ქუთაისში, ... გამზ. №48ა-ში მდებარე შენობის ქვეშ არსებული 104,92 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გატარება, ხოლო მისასვლელი გზის სერვიტუტით დატვირთვაზე შპს „...“ უარი ეთქვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ა. წ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

2016 წლის 10 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. წ-მა, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განცხადებლის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, კერძოდ, 2000 წლიდან 16 წლის განმავლობაში აღკვეთილი ჰქონდა გასცნობოდა საჯარო რეესტრში დაცულ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, რომელიც მხოლოდ 2016 წლის 11 სექტემბერს გახდა მისთვის ხელმისაწვდომი. ქუთაისის მერიისა და საჯარო რეესტრის მიერ განზრას არ გაიცემოდა აღნიშნული მტკიცებულებები. ამასთან, განცხადებლის მტკიცებით, ყალბია საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, რაც საქმის ხელახლა განხილვის საფუძველს წარმოშობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. წ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განსჯადობის წესების დაცვით, უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტი-

ლებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობის საკითხს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. წ-ის მიერ განცხადება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილია განსჯადობის წესების დარღვევით, რადგან მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილებები გამოტანილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციის პალატის მიერ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არა აქვს მინიჭებული კომპეტენცია იმსჯელოს ა. წ-ის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ამასთან, „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიებისა და სასა-მართლო პალატებსა და კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდე-ნობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 27 ოქტომბრის №857 ბრძანებულების საფუძველზე შე-იქმნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. ამავე ბრძანებულე-ბით ძალადაკარგულად გამოცხადდა „თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების, სასა-მართლო კოლეგიებსა და პალატებში მოსამართლეთა რაოდე-ნობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 აპრილის №154 ბრძანებულება. ხოლო „საერთო სასა-მართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის მოთ-ხოვნათა შესაბამისად, ა. წ-ის განცხადების განხილვაზე უფ-ლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელა-ციონ სასამართლო, რის გამოც ა. წ-ი არასწორად მომართავს გან-ცხადებით საკასაციო სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. წ-ის განცხადება ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის წესების დაცვით უზდა გადაეცეს ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელიც უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოადგენილი განცხა-დების დასაშვებობასა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილითა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 424-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. წ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადა-ეცეს უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საპირალი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა	
„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე დავის განსჯადობა	3; 8; 14; 64; 86
დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის, ზიანის ანაზღაურების და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე დავის განსჯადობა	20; 34; 48; 69; 76
ადმინისტრაციული ორგანოსგან შეილის მნახველ პირად რეგისტრირების თაობაზე დავის განსჯადობა	60
პენსიის ადმინისტრირების საკითხთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	82
ადმინისტრაციული აქტის არარად აღიარების თაობაზე დავის განსჯადობა	95
2. სამოქალაქო განსჯადობა	
კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	102; 115
საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კერძოსამართლებრივი ხასიათის დავის განსჯადობა	121
3. ტერიტორიული განსჯადობა	
ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში საქმის განხილვა ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	130; 136; 144; 157; 162
ალტერნატიული განსჯადობის შემთხვევაში საქმის განხილვა მოსარჩელის არჩევანის შესაბამისად	139
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალური წესი	151
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის ალტერნატიული განსჯადობა	165

4. საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების	
შეტანის განსჯადობა	
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების	
განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა 169	
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის	
განხილვის შესახებ განცხადების განსჯადობა 171	

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge